შირაქი

№50 (9.811)
23 - 30 დეკემბერი 2017 წელი

ფასი: 50 თეთრი
ყოველკვირეული გამოცემა

დედოფლისწყაროს

გამოცემის მე-80 წელი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

გილოცავთ!



ირაკლი შიოლაშვილი: „მე მჯერა, რომ ხელისუფლებისა და ხალხის ერთიანობით, დასახული მიზნისკენ დაუღალავი სწრაფვით, მუხლჩაუხრელი შრომითა და ურთიერთსიყვარულით, ჩვენ შევძლებთ, რომ უკეთეს პირობებში ვიცხოვროთ.“

ნუგზარ პაპიაშვილი: „მინდა გითხრათ, რომ ჩვენი ძირითადი პრინციპები და პრიორიტეტები დედოფლისწყაროზე და მის მოქალაქეებზე ზრუნვაა და ჩვენი ყველა ქმედება მიმართულია დედოფლისწყაროსა და მისი მოსახლეობის კეთილდღეობისაკენ. ეს მიმართულება კი არასოდეს შეიცვლება“.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი: „ვიცი, რომ ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა, მაგრამ არსებობს ნება და მონდომება, რაც იმას ნიშნავს, რომ 2019 წელს შევხვდებით გაცილებით ნაკლები პრობლემით, ვიდრე დღეს გვაქვს“.

გ3.3

დედოფლისწყაროში მთავარი ფინანსური დოკუმენტი დამტკიცდა

როგორ შევხვდეთ ახალ 2018 წელს?

საახალწლო ნაძვის ხე განათდა

ცხადდება ვაკანსია

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიაში ღია კონკურსი გამოცხადდა პროფესიული საჯარო მოხელის შემდეგი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად:

1. მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის კოორდინაციის განყოფილების უფროსი -ადგილის რაოდენობა 1 (ერთი)
2. მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში - ადგილის რაოდენობა 1 (ერთი)
3. მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ქვემოქედის ადმინისტრაციულ ერთეულში - ადგილის რაოდენობა 1 (ერთი)

განცხადებების რეგისტრაცია ხდება მხოლოდ ელექტრონული ფორმით, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე www.hr.gov.ge

განცხადებების რეგისტრაცია იწარმოებს 2018 წლის 04 იანვრის ჩათვლით.

გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი“

2018 წლისთვის გაზეთ „შირაქის“ პერიოდულობა კვლავ ყოველკვირეული იქნება, რვაგვერდიანი და ფერადი. გამოწერის ღირებულება მთელი წლით 15 ლარი ეღირება, 6 თვით - 7,50 ლარი.

გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი“ – შეიტყეთ ყველაფერი დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

მსურველთა საყურადღებოდ!

გაზეთი „შირაქი“ არ ღალატობს ტრადიციას და კვლავაც გთავაზობთ ფერად **საახალწლო კალენდარს.** თუ გსურთ, თქვენი ბავშვის ფოტო განთავსდეს 2018 წლის ფერად კალენდარში, გთხოვთ წარმოადგინეთ ის 28 დეკემბრის ჩათვლით რედაქციაში. შეგახსენებთ, რომ კალენდარში ფოტოს განთავსება ფასიანია. 1 ფოტოსურათი 15 ლარი ეღირება. მაგრამ, თუ, ერთ ფოტოში ორი, ან მეტი ბავშვი იქნება - 20 ლარი.

იჩქარეთ, რაოდენობა შეზღუდულია!!!

C M Y K

პარლამენტმა მთავრობის განახლებული შემადგენლობა დაამტკიცა

საქართველოს პარლამენტმა მთავრობის განახლებულ შემადგენლობას ნდობა გამოუცხადა. პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის მიერ წარდგენილ მინისტრთა კაბინეტს და სამთავრობო პროგრამას - „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა 2018 — 2020“ 103-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი. წინააღმდეგ ხმა 17 დეპუტატმა მისცა.

განახლებული მთავრობა 13 სამინისტროთი და ერთი სახელმწიფო მინისტრის აპარატით არის წარმოდგენილი. მინისტრთა კაბინეტი შემდეგი შემადგენლობით დაკომპლექტდა:

გიორგი კვირიკაშვილი - პრემიერ-მინისტრი; მიხეილ ჩხენკელი - განათლებისა და მეცნიერების მინისტრი; ლევან დავითაშვილი - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი; დიმიტრი ქუმსიშვილი - ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი; ლევან იზორია -თავდაცვის მინისტრი; თეა წულუკიანი - იუსტიციის მინისტრი; მიხეილ გიორგაძე -კულტურისა და სპორტის მინისტრი; სოზარ სუბარი - ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვითა მინისტრი; ზურაბ ალავიძე - რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი; მიხეილ ჯანელიძე - საგარეო საქმეთა მინისტრი; კახა კახიშვილი - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი; მამუკა ბახტაძე - ფინანსთა მინისტრი; გიორგი გახარია - შინაგან საქმეთა მინისტრი; დავით სერგეენკო - შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი; ქეთევან ციხელაშვილი - სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში.

პარლამენტში მთავრობის განახლებული შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადების პროცესი 2 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა.

პრემიერმინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა საზოგადოებას ბოდიში მოუხადა

„მანამდე ვიდრე ჩვენ ვიქნებით დეპუტატები, თუ მთავრობის წევრები, თუნდაც პრემიერ-მინისტრი, ჩვენ ყველანი ვართ ადამიანები და ჩვენ ჩვენი ღირსება გაგვაჩნია. საზოგადოებას მინდა ბოდიში მოვუხადო ჩემი ზედმეტი ემოციებისთვის, მაგრამ სამწუხაროდ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა, ყველას არ ეხება ეს, შეძლო, რომ გამოეყვანა მდგომარეობიდან ჩემი თავი და ეს არ იყო კარგი საყურებელი. თუმცა კიდევ ერთხელ ვამბობ, რა თანამდებობაზეც არ უნდა ვიყოთ, ჯერ ჩვენი ღირსების დაცვა გვავალია და მერე ყველაფერი დანარჩენი. ყველაფერი, რაც მანამდე ხდებოდა იყო გამიზნული იმისთვის, რომ ეს მომხდარიყო“, - განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

დღეს, მთავრობა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს პარლამენტში შეხვდა. სიტყვიერი დაპირისპირება ნიკა მელიასა და გიორგი კვირიკაშვილს შორის მას შემდეგ დაიწყო, რაც მელიამ კვირიკაშვილს „უუნარო პრემიერ-მინისტრი“ უწოდა.

„გულით კარგი კაცი ბრძანდებით, მაგრამ არც პროფესიონალი ხართ, არც კვალიფიკაცია გაქვთ. ნუ გწყინთ. ქვეყანა რა დღეში ჩააგდეთ. მოხვედით აქ და პარლამენტარებისგან ნდობის მიღებას ითხოვთ და არ გრცხვენიათ, რომ თქვენი შემცვლელი უკვე შერჩეული ჰყავს ივანიშვილს და გადაიყვანა შინაგან საქმეთა სამინისტროში. ვითომ პრემიერ-მინისტრი ხართ. არც არასოდეს გეკითხებოდნენ, არც გეკითხებიან და არც შეგეკითხებიან. ქვეყანა გააღატაკეთ. სირცხვილია, რომ თქვენ ხართ პრემიერ-მინისტრი. თქვენ ხართ, დიახაც, უუნარო პრემიერ-მინისტრი“, - აცხადებდა ნიკა მელია.

ამ განცხადებებს პრემიერ-მინისტრმა გინებით უპასუხა და დარბაზი დატოვა.

20 დეკემბერს საქართველოს პარლამენტში მთავრობის განახლებული შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადების პროცესი დაიწყო, რომლის ფარგლებშიც მთავრობის წევრები საპარლამენტო ოპოზიციას შეხვდნენ და მათ კითხვებს უპასუხეს.

მზა კერძებსა და ნახევარფაბრიკატებში ცხენის და ვირის ხორცი აღმოჩნდა

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ხორცის სახეობრივი კვლევის შედეგად მზა კერძებსა და ნახევარფაბრიკატებში ცხენის და ვირის ხორცი გამოავლინა. სურსათის ეტიკეტზე კი მითითებული იყო, რომ პროდუქცია საქონლის და ღორის ხორცისგან იყო დამზადებული.

ცხენისა და ვირის ხორცი შემდეგი ბიზნესოპერატორებისა და მწარმოებლების პროდუქციაში აღმოჩნდა:

საქონლის ხორცის ბასტურმა - შპს „ნავთლუღის სავაჭრო შემსყიდველი საწარმო“, თბილისი, მეველეს ქ. N3;

ფარში (კოტლეტი) - ი/მ „იზოლდა ევგენიძე“, ბათუმი, მაიაკოვსკის ქ. N1, კაფე-ბარი „ჩვენებურები“;

ახალი ფარში - ი/მ „ბაკური“, ბათუმი, აგრარული ბაზარი, მაიაკოვსკის ქ. N4, რეზო გიორგაძე;

ხინკალი „რაჭა“ - ი/მ „მაია გოგიჩაიშვილი“ (მარკეტი). ქარელი, სტალინის ქ.N40; სურსათის მწარმოებელი - შპს „ელფუდი“;

საქონლის ხორცის „ოსტრი“ - შპს „მაკრატელა“, ქარელი, ნინოშვილის ქ.N22, სასადილო;

კატლეტი - ი/მ ოთარი ხარშილაძე, ახმეტელის მეტროს მიმდებარე ტერიტორია, სასადილო;

გაყინული ქაბაბი - შპს „იმედი2012“. თბილისი, გლდანის მე-8 მკ/რნ, დირექტორი გიორგი ბარათაშვილი;

გაყინული გუფთა - შპს „გემო ნახე“, სამგორის ზედა ამოსასვლელი, ფართი N36 - მწარმოებელი შპს „გაუშა“;

საქონლის ხორცის „ბასტურმა“ - შპს „იბერია“, რეალიზატორი გივი დემეტრაშვილი, თბილისი, წინამძრვრიშვილის ქ.N 133 - მწარმოებელი შპს „კავკასია“;

გაყინული ქაბაბი - შპს „გ.რ.ზ.ა“, მარკეტი, ბათუმის ანგისის ქ. N2. მწარმოებელი შპს „მეგა“;

გაყინული ხინკალი - ი/მ „თეიმურაზ ნიაზაშვილი“ (საცალო ვაჭრობა), გორი, შინდისის გზატკეცილი N7;

ოსტრი - ი/მ „შალვა არჩვაძის“ სასადილო, შიდა ქართლი. დამზადებულია ვირის ხორცისგან.

სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, გამოვლენილი დარღვევების გამო ბიზნესოპერატორები დაჯარიმდნენ. მათ საეჭვოდ მიჩნეული სურსათის ბაზრიდან გამოთხოვა დაევალათ.

ცხენის ან ვირის ხორცის რეალიზაციის შემთხვევაში, აუცილებელია კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვა. პირუტყვი უნდა იყოს იდენტიფიცირებული, ჩატარებული ჰქონდეს შესაბამისი ვეტერინარული ღონისძიებები და უნდა დაიკლას სასაკლაოზე. სავალდებულოა ხორცი უნდა იყოს ეტიკეტირებული და მითითებული იყოს ხორცის სახეობა.

სურსათის ეროვნული სააგენტო ხორცის სახეობრივ კვლევას 2017 წლის მარტიდან ატარებს. საზოგადოებრივი კვების და სარეალიზაციო ობიექტებიდან აღებულია მზა კერძების და სხვა სახის სურსათის 90 ნიმუში, რომლებიც აკრედიტებულ ლაბორატორიაში შემოწმებულია ცხენის და ვირის ხორცის იდენტიფიცირებაზე.

პრემიერი: უმაღლესი სასწავლებლები, რომლებიც კრიტერიუმს ვერ დააკმაყოფილებენ, დაიხურებიან

ამის შესახებ საქართველოს პრემიერმინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე განაცხადა.

“ის სისტემა, რომელიც დღეს იქმნება გაცილებით უფრო მაღალი, ხარისხობრივი კრიტერიუმებით, ასეთ კრიტერიუმებზე დაფუძნებული ავტორიზაციის სისტემა, რა თქმა უნდა, შედეგად მოიტანს იმას, რომ გარკვეული უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ მინიმალურ კრიტერიუმებსაც კი, სავარაუდოდ, მოუწევთ დახურვა.

რა თქმა უნდა, ვიზრუნებთ იმ სტუდენტების ბედზე, რომლებიც იქ სწავლობენ და არავითარ შემთხვევაში ეს არ უნდა შეეხოს სტუდენტებს. მაგრამ, ჩვენ არ გვაქვს უფლება მოვატყუოთ ჩვენი სტუდენტები, მივცეთ მათ საშუალება საკუთარი ფული დახარჯონ, სახელმწიფომ დახარჯოს ასევე თავის რესურსი და რაც ყველაზე ცუდია, შევქმნათ არარეალისტური წარმოდგენები საკუთარ მომავალაზე, რომ ისინი ღებულობენ პროფესიას, მაგრამ სინამდვილეში ისინი ემზადებიან პირდაპირი უმუშევრობისთვის. ვფიქრობ, ეს მანკიერი წრე სადღაც უნდა ჩაიკეტოს და ეს ყველასთვის ვერ იქნება სასიამოვნო”, - განაცხადა პრემიერმა.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა 2019 წელს განახლდება

სოფლის მხარდაჭერის განახლებული პროგრამა 2019 წელს ამოქმედდება.

პრემიერ მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, რეგიონული განვითარების სამინისტრომ დაიწყო მუშაობა პროექტის დახვეწაზე, რომელიც 2018 წლის ბოლოს დასრულდება.

„რესურსი, რომელიც მსოფლის მხარდამჭერ პროგრამაზე იყო მიმართული, ძალიან ხშირ შემთხვევაში იხარჯებოდა რეზულტატის გარეშე. ძალიან მცირე პროექტებს ხმარდებოდა და რეალურად ნამდვილად ვერ ხერხდებოდა სოფლებში არსებული პრობლემების გადაწყვეტა. მთლიანობაში რეგიონული პროექტების დაფინანსება საერთო ჯამში არის გაზრდილი და ის რესურსი, რაც ამ პროგრამაში იხარჯებოდა, გადავანაწილეთ სხვა პროექტებში, მაგრამ ჩვენ ვმუშაობთ მჭიდროდ შესაბამის კომიტეტებთან, რეგიონული მართვისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ამზადებს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ახალ მოდელს“,- განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

პროექტის ფარგლებში მუნიციპალიტეტები ყოველწლიურად იღებდნენ გარკვეული რაოდენობის თანხას, რომელიც სოფლებზე მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით ნაწილდებოდა.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში კი ამბობენ, რომ სოფლის პროგრამა გაერთიანდა რეგიონალურ ფონდებთან და მუნიციპალიტეტები ვალდებულები არიან, უზრუნველყონ ადგილობრივი მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობა პროექტების შერჩევის პროცესში.

„გამგეობებს მოუწევთ, მოითხოვონ თანხა და დაასაბუთონ მისი საჭიროება, რომლისთვისაც გარკვეული პროცედურის გავლა მოუწევთ. პროგრამასთან დაკავშირებით ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები აცხადებენ, რომ თვითმმართველი ერთეულები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსდება”, — განაცხადა რეგიონული განვითარების მინისტრის მოადგილემ, რევაზ ასათიანმა.

მოსახლეობის აზრით, სოფლების განვითარებისა და მოქალაქეების ჩართულობის მხრივ პროგრამა სასიცოცლოდ მნიშვნელოვანია. ისინი აღნიშნავენ, რომ პროგრამის გაუქმებამ მათში ნიჰილიზმი გამოიწვია.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც 2009 წლიდან მოქმედებდა, მიმდინდარე წელს გაუქმდა.

დაურეგისტრირებელი იარაღით აკრძალულ ფრინველზე ნადირობის ფაქტი დედოფლისწყაროში

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის კახეთის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმა უკანონო ნადირობის ფაქტი გამოავლინეს. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მოქალაქემ, დაურეგისტრირებელი სანადირო იარაღით, უკანონოდ მოინადირა 4 ერთეული კაკაბი.

შეგახსენებთ, კაკაბი არ შედის ნადირობისთვის დაშვებული გადამფრენი ფრინველების სახეობების ჩამონათვალში, შესაბამისად, აღნიშნულ სახეობაზე, სამონადირეო მეურნეობის გარეთ, ნადირობა აკრძალულია.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მოქალაქეს ჩამოართვეს არარეგისტრირებული სანადირო იარაღი. მასალები, შემდგომი რეაგირებისათვის სიღნაღის რაიონულ სასამართლოს გადაეგზავნა.

ნადირობის სეზონის დაწყებიდან მიმდინარე წლის სექტემბრამდე, ნადირობის წესების დარღვევის 334 ფაქტი გამოვლინდა. 4 შემთხვევაში ნადირობის ფაქტი დაცულ ტერიტორიებზე დაფიქსირდა. ამავე პერიოდში, ამოღებულია 112 ერთეული დაურეგისტრირებელი სანადირო გლუვლულიანი ცეცხლსასროლი იარაღი (თოფი).

უშუალოდ კახეთის რეგიონული სამმართველოს ტერიტორიაზე 30 ფაქტია აღრიცხული.

ილია მარტყოფლიშვილი

გ ი ლ ო ც ა ვ თ !

ჩემო ძვირფასო დედოფლისწყაროელებო, გილოცავთ ახალი წლის შემობრძანებას! მშვიდობის, სიკეთისა და სიყვარულის მომტანი ყოფილიყოს 2018 წელი თქვენთვის და თქვენი ოჯახებისთვის. მინდა, თითოეულ თქვენგანს გულითადად მოგილოცოთ ეს დღესასწაული!

გასული, 2017 წელი მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ქვეყნისთვისაც და მუნიციპალიტეტისთვისაც. 2017 წელს, პროგრამებმა, რომლებიც სოციალური მომსახურებების, ჯანდაცვისა და მოქალაქეების მიერ შერჩეული სხვა პრიორიტეტების მიმართულებებით განვახორციელეთ, საშუალება მოგვცა, ჩვენი თანამოქალაქეების ცხოვრების დონე და პირობები, წინა წლებთან შედარებით, გაგვეუმჯობესებინა. წამოგვეწყო სამომავლო პროექტები, რომელთა მეშვეობითაც, დედოფლისწყარო ძალიან მალე ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით უფრო მეტად განვითარებული და კეთილმოწყობილი მუნიციპალიტეტი იქნება.

მე კარგად მესმის, რომ ბევრი ადამიანი ახალ წელს გაჭირვებაში ხვდება. ვისურვებდი, რომ 2018 წელი მათთვის წინსვლისა და გაძლიერების წელი ყოფილიყოს, მჯერა, რომ ეს ასეც იქნება. მინდა, ამ ადამიანებს განსაკუთრებულად მივულოცო ახალი წელი!

გამორჩეულად მინდა, მივულოცო ახალი წელი იმ ადამიანებს, ვინც დღეს საქართველოში, დედოფლისწყაროში არ იმყოფება. მომავალი წელი მათი სამშობლოში დაბრუნების წელი უნდა იყოს. ჩვენი ქვეყანა, ჩვენი დედოფლისწყარო სულ უფრო მიმზიდველი და საინტერესო ხდება ტურისტული თვალსაზრისითაც. ეს ყველაფერი დადებითად აისახება ჩვენი მუნიციპალიტეტის ეკონომიკაზე და მე მჯერა, ის თანამოქალაქეები, რომლებმაც ქვეყანა სხვადასხვა მიზეზების გამო დატოვეს, დაუბრუნდებიან მშობლიურ ქვეყანას, მშობლიურ რაიონს.

მე მჯერა, რომ ხელისუფლებისა და ხალხის ერთიანობით, დასახული მიზნისკენ დაუღალავი სწრაფვით, მუხლჩაუხრელი შრომითა და ურთიერთსიყვარულით, ჩვენ შევძლებთ, რომ უკეთეს პირობებში ვიცხოვროთ. მაშინ, როცა დემოკრატიული, გამჭვირვალე, ევროპული სახელმწიფო ხელისუფლებისა და ხალხის ერთობლივი ნებაა, მოვლენების სხვაგვარი განვითარება, შეუძლებელიც კია.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ყველას ახალ, 2018 წელს! გისურვებთ ბედნიერებას, ჯანმრთელობას, მშვიდობას, დღეგრძელობასა და კეთილდღეობას!

პატივისცემით,
ირაკლი შიოლაშვილი, **საქართველოს პარლამენტის წევრი**

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტრეტის საკრებულოს სახელით გილოცავთ დამდეგ 2018 წელს და მაცხოვრის შობას.

2017 წელი ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის იყო 2012 წელს აღებული კურსის გაგრძელება, რაც ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტების აქტიურ რეჟიმში განხორციელებას გულისხმობს.

მინდა გითხრათ, რომ ჩვენი ძირითადი პრინციპები და პრიორიტეტები დედოფლისწყაროზე და მის მოქალაქეებზე ზრუნვაა და ჩვენი ყველა ქმედება მიმართულია დედოფლისწყაროსა და მისი მოსახლეობის კეთილდღეობისაკენ. ეს მიმართულება კი არასოდეს შეიცვლება.

დედოფლისწყაროელებო, ჩვენო მშობლებო, და-ძმებო, შვილებო და შვილიშვილებო, გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს და გისურვებთ ჩვენი სამშობლოს გამთლიანებას, მშვიდობას, პურისა და ღვინის სიუხვეს, ვაჟთა და ქალთა სიმრავლეს, სიკეთეს, სიხარულსა და ბედნიერებას. უფალი გფარავდეთ...

პატივისცემით,
ნუგზარ პაპიაშვილი,
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ძვირფასო დედოფლისწყაროელებო, ბედნიერი ვარ, რომ კიდევ ერთხელ მომიწია საჯაროდ თქვენთვის შობა-ახალი წლის მოლოცვა. დამდეგს გილოცავთ ...

იცით, რომ ჩვენს რეგიონში დედოფლისწყარო ერთადერთია, სადაც მუნიციპალიტეტის პირველ პირს საკუთარ ხალხზე ზრუნვის შანსი კვლავ მიეცა. სწორედ ამიტომ თქვენს წინაშე გაათმაგებულ პასუხისმგებლობას ვგრძნობ.

ახალი წელი ყველა თაობის ადამიანისთვის გამორჩეული დღესასწაულია, რადგან ამ დღეს თითოეული ჩვენგანი ცდილობს წარსულში დატოვოს ყველაფერი ცუდი და აივსოს უკეთესი მომავლის რწმენით. ამაყი ვარ, რომ იმ მუნიციპალიტეტს ვხელმძღვანელობ, სადაც ყოველი ახალი დღე წინა დღეზე უკეთესია და ჩვენი ერთობლივი ძალისხმევით ყოველი საათი სასიკეთოდ ეტყობა ჩვენს რაიონს.

ვიცი, რომ ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა, მაგრამ არსებობს ნება და მონდომება, რაც იმას ნიშნავს, რომ 2019 წელს შევხვდებით გაცილებით ნაკლები პრობლემით, ვიდრე დღეს გვაქვს. თქვენ იცით, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ყოველწლიურად იზრდება, რაც ავტომატურად გულისხმობს მეტი ინფრასტრუქტული პროექტის განხორციელებას. ეს კი დადებითად აისახება როგორც ინფრასტრუქტურაზე, ასევე დასაქმებაზეც.

ხელისუფლება აქტიურად განაგრძობს ზრუნვას მოსახლეობის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების გასაუმჯობესებლად. 2017 წელს სოციალურ ბიუჯეტში რამდენჯერმე მოხდა ცვლილების შეტანა და კონკრეტული მიმართულებებით თანხების დამატება. მიუხედავად იმისა, რომ 2018 წლის სოციალური ბიუჯეტი გასულ წელთან შედარებით გავზარდეთ, ამ კუთხით მუშაობას მთელი წლის განმავლობაში გავაგრძელებთ.

კარგად გვაქვს გაცნობიერებული, რომ ჯანმრთელი და ლაღი მომავალი თაობა საქართველოს ხვალინდელი დღეა. ამიტომაც ჩემი და ჩემი გუნდის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება წელსაც სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები იქნება.

ბიზნესის სახელმწიფო წნეხისგან გათავისუფლებამ და მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პროგრამებმა ასახვა ჩვენს რაიონზეც ჰპოვა. აქტიურად ვთანამშრომლობთ იმ სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც სოფლის მეურნეობისა და სამეწარმეო საქმანობის ხელშეწყობის პროექტებს ახორციელებენ.

რადგან მცირე და საშუალო ბიზნესი ვახსენე, აქვე ვიტყვი, რომ ამ მიმართულებით უმნიშვნელოვანესია ტურიზმის განვითარებაც, რაც ჩვენთან ტურისტების სიმრავლეს გამოიწვევს. შესაბამისად, გაჩნდება ახალი საოჯახო ტიპის სასტუმროებისა და კაფეების მოთხოვნილებაც, რაც მომსახურების სფეროში დასაქმებული ადამიანების რიცხვს მნიშვნელოვნად გაზრდის. ეს ყველაფერი კი, სხვა კომპლექსურ ღონისძიებებთან ერთად, მოსახლეობის სოციალურ- ეკონომიკურ მდგომარეობას გააუმჯობესებს. ამ მიმართულებით გვაქვს რამოდენიმე პროექტი, რომლებიც ჩემი მერობის პერიოდში განხორციელდება და მათ ეტაპობრივად გაგაცნობთ.

ჩვენი გუნდი ზრუნავს დედოფლისწყაროს სისუფთავეზე და ჯანსაღი გარემოს შექმნაზე. 2017 წლის დასაწყისში ჩვენ შევიძინეთ ორი ახალი ნაგავმზიდი და 100 ახალი ურნა. ამ შენაძენის საშუალებით კი დავიწყეთ საყოფაცხოვრებო ნარჩენების გამოტანა ქედების ზონის სოფლებიდანაც. სულ ახლახანს საკრებულომ მხარი დაუჭირა მერიის მიერ ინიცირებულ პროექტს, რომელიც მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიან გეგმას მოიცავს და ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების მართვის პროცესის თანამედროვე პრინციპებით დაგეგმვას გულისხმობს.

ჩემო თანამემამულეებო, მინდა ასევე მოგილოცოთ ქრისტეს შობის დღესასწაულიც, რომელიც ამ ლამაზი დღეების განწყობას კიდევ უფრო ამაღლებულს ხდის. უფლის ძის შობა ხომ ერთ-ერთი გამორჩეული და განსაკუთრებული ქრისტიანული მოვლენაა.

კიდევ ერთხელ გილოცავთ დამდეგ შობასა და ახალ, 2018 წელს. გისურვებთ , ჯანმრთელობას, გახარებას, ხვავსა და ბარაქას. ვისურვებ, რომ ეს წელი იყოს გამორჩეულად წარმატებული თითოეული თქვენგანისთვის, ჩვენი დედოფლისწყაროსა და საქართველოსთვის.

პატივისცემით,
ნიკოლოზ ჯანიაშვილი,
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი

მთავარი ფინანსური დოკუმენტი დამტკიცდა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2018 წლის ბიუჯეტის პროექტი 19 დეკემბრის სხდომაზე დაამტკიცა. მუნიციპალიტეტის მთავარ ფინანსურ დოკუმენტს მხარი საკრებულოს ცხრამეტმა წევრმა დაუჭირა, მათ შორის, ოპოზიციის ნაწილმაც.

2018 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი 5 515 900 ლარით განისაზღვრა, ხოლო ხარჯვითი ნაწილი – 6 351 500 ლარით. ძირითად პრიორიტეტებად რჩება ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, ასევე მოსახლეობის ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა, სკოლამდელი განათლება.

2018 წლის ბიუჯეტის შეფასება ვთხოვეთ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს ნიკოლოზ ჯანიაშვილს: *„ვფიქრობ, რომ 2018 წლის ბიუჯეტი არის დედოფლისწყაროს გამოწვევებზე, პრობლემებზე მორგებული ბიუჯეტი. მასში სრულად არის ასახული ის პრიორიტეტები, რომლებიც გულისხმობს მოსახლეობაზე ზრუნვას, მათი სოციალური პრობლემების მოგვარებას, ზრუნვას სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე, ინფრასრტუქტურული პროექტების განხორციელებას. მოგეხსენებათ, რომ ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ბაღების კეთილმოწყობასთან დაკავშირებით და ეს ტენდენცია 2018 წელსაც გაგრძელდება. ამას ადგილობრივ ბიუჯეტში თანხების ზრდაც ადასტურებს – სკოლამდელი დაწესებულებების დაფინანსება 300 000 ლარითაა გაზრდილი.*

2017 წლის ბიუჯეტიც სოციალურ პრობლემებზე ორიენტირებული გახლდათ. ამასვე ვიტყვი 2018 წლის ბიუჯეტზეც. სოციალური პროგრამები სწორადაა შედგენილი და ჩვენს მოსახლეობას საშუალება ეძლევა, მაქსიმალურად ისარგებლოს იმ სიკეთეებით, რასაც მუნიციპალიტეტი სთავაზობს. შესაბამისად, 2018 წლის ბიუჯეტი სწორედ წინა წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით დაიგეგმა. სათნოების სახლის ბენეფიციარებისთვისაც გაიზარდა თანხა, კვების მოწესრიგებასთან ერთად სათნოების სახლს ჩაუტარდა რემონტი და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ის გარემო, სადაც ბენეფიციარები დღეში რამდენიმე საათს ატარებენ.

რაც შეეხება ინფრასტრუქტურულ ნაწილს, 2018 წელს 1 მილიონი ლარია გათვალისწინებული ამ სამუშაოებისთვის და ეს, ძირითადად, მიმართული იქნება გზების მოვლა-შენახვაზე, გარე განათების ექსპლუატაციაზე და ნარჩენების გატანაზე, ანუ სისუფთავის დამყარებაზე. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე, ადგილობრივი ბიუჯეტის ძირითადი წყარო არის სასოფლო-სამეურნეო მიწაზე ქონების გადასახადი, რომელიც შემოდის წლის ბოლოსთვის, ამიტომ, 2018 წლის ბიუჯეტიც საბოლოო სახეს იანვარში მიიღებს, როდესაც 1 იანვრისთვის არსებული ნაშთის გადანაწილება მოხდება. სერიოზული სამუშაოები განხორციელდება მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში და არ დარჩება დედოფლისწყაროში არცერთი ქუჩა, რომელიც არ კეთილმოეწყობა. სახელმწიფო ბიუჯეტიდან და რეგიონული განვითარების ფონდიდან მოზიდული თანხებით მოხდება მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, როგორიცაა, ზემო ქედისა და ზემო მაჩხაანის წყლის სისტემების რეაბილიტაცია, ქალაქ დედოფლისწყაროსა და მუნიციპალიტეტის სოფლებში ასფალტის საფარის მონყობა. ყველგან დამონტაჟდება გარე განათებები და ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ გარემო ჩვენს გარშემო იყოს ლამაზი, უსაფრთხო და სუფთა, სადაც თითოეული ჩვენგანი თავს კომფორტულად იგრძნობს.“

ამ დღესვე, საკრებულომ მხარი დაუჭირა მერიის მიერ ინიცირებულ პროექტს, რომელიც მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიან გეგმას მოიცავს და ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების მართვის პროცესის თანამედროვე პრინციპებით დაგეგმვას გულისხმობს. ხუთწლიანი გეგმის მიზანია, ნარჩენების მართვის ისეთი სისტემის განხორციელება, რომელიც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის, კომერციული ობიექტებისა და საწარმოებისათვის ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ეფექტურად მომსახურების მიწოდებას უზრუნველყოფს.

ინგა შიოლაშვილი

მანსანკანი – 2017

14 დეკემბერს დედოფლისწყაროს კულტურის სახლს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მხიარულთა და საზრიანთა კლუბი სტუმრობდა. კონკურსის ზონალური ტურის მიზანი საუკეთესოთა გამოვლენა გახლდათ ფინალური ტურისთვის, რომელიც გაზაფხულზეა დაგეგმილი. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ქალაქის №1 საჯარო სკოლის გუნდი „ენდორფინები“ და ოზაანის საჯარო სკოლის გუნდი „შვინდის კურკები“.

მოზარდი თაობის შეხვედრას ფონად უძღვოდა ნიკოლშოუს სიმღერა „გამოდით, ბიჭებო“, ხოლო შესავალი სიტყვით გამოვიდა ინტელექტუალური წრის ხელმძღვანელი, თამარ აბულაძე, რომელმაც თავისი აზრი დააფიქსირა ბოლოდროინდელ შემზარავ ფაქტებთან დაკავშირებით:

– ძვირფასო საზოგადოებავ, ჩვენ, დღეს ვერანაირად ვერ ავუვლით გვერდს მომხდარ ტრაგედიას. მოზარდებს შორის ძალადობა, ეს ის თემაა, რომელიც თითოეული ჩვენგანის დღის წესრიგში უნდა იდგეს, ყველამ ერთად უნდა ვძლიოთ ამ პრობლემას, ყველამ ერთმანეთს სიყვარულის ხელი უნდა გავუწოდოთ, დაპისპირებულებს შორის სიყვარულის ხიდები გავდოთ. მინდა, პირობა მივცე მოსწავლეებს და მშობლებს ჩვენი სკოლის სახელით, რომ გვიგულეთ თქვენს გვერდით, ნებისმიერი პრობლემური საკითხის ირგვლივ, რათა ერთად ადვილად დავძლიოთ ყოველგვარი განსაცდელი.

სკოლები წინასწარ შემუშავებული დებულების მიხედვით მოქმედებდნენ. ჟიურის შემადგენლობაში შედიოდნენ მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თამარ თამაზაშვილი, სპეციალისტები: ნანული ნატროშვილი, ია ბუნტური, სკოლამდელი და სკოლისგარეშე საალმზრდელო ცენტრის სპეციალისტები-ელენე ბენაშვილი და ეკა პოპიაშვილი. დავალება ოთხი საფეხურისგან შედგებოდა. ჟიურიმ პირველი სამი დავალება შეაფასა ხუთბალიანი ქულებით, მეოთხე დავალების თითოეული ქულა შეფასდა 1 დ 2 ქულით. მონაწილეები თითოეული ნომრის შესრულებისას ავლენდნენ არტისტიზმს, იუმორის სიჭარბეს და ენთუზიაზმს. ოზაანის გუნდი „შვინდის კურკები“ ორი დავალების შემდეგ დამაჯერებლად დაწინაურდა, ხოლო სამი ნომრის შემდეგ კი ანგარიში გათანაბრდა.

კონკურსის ბედი გადაწყვიტა ღონისძიების ორგანიზატორის, თამარ აბულაძის მიერ დასმულ კითხვებზე პასუხებმა.

გუნდი „შვინდის კურკები“ გამოირჩეოდა აკადემიური, თემატური და მხიარული გამოსვლებით. №1 საჯარო სკოლის გუნდი კი თამამი, საზრიანი, მუსიკალური და არტისტული შესრულებით, რითაც საბოლოოდ დაწინაურდნენ და ზონალური ტურის გამარჯვებულის ტიტული დაიმსახურეს, ანგარიშით 97:93.

ოზაანის საჯარო სკოლის გუნდმა ღირსეული მეტოქეობა გაუწია გუნდ „ენდორფინებს“ და მხოლოდ ოთხი ქულის სხვაობით გავიდნენ მეორე ადგილზე.

კულტურის სახლის დარბაზი სავსე იყო მონაწილეთა ქომაგებით, მათი ტაში და შეძახილები ამხნევებდა ბავშვებს. სახალისო, შემეცნებითი და მეგობრული შეხვედრა კიდევ ერთი ნათელი დღე იყო მოზარდი თაობის ცხოვრებაში. ასეთი შეხვედრები სტიმულს აძლევს მათ მეტი განათლების მიღებაში, პრობლემების მშვიდობიანი გზებით მოგვარებასა და ძალადობა-აგრესიის თავიდან აცილებაში.

ელზა ხარაშვილი

საახალწლო კონცერტების კვირეული

წინასაახალწლო განწყობა ხელოვნების სკოლაში კარგა ხანია დგას, ნორჩი მუსიკოსები პედაგოგებს ყოველდღიურად ახალ-ახალი კონცერტებით ჰყავს განებივრებული, ერთ-ერთი ასეთი ღონისიება ჩატარდა კვირეულის ფარგლებში 18 დეკემბერს, რომელშიც პედაგოგების ფიქრია ქადაგიძის, დალი ხუციშვილის და მადლენა ყოჩიაშვილის მოსწავლეები მონაწილეობდნენ.

კლასიკური ნაწარმოებების შესრულებასთან ერთად მოსწავლეებმა მაყურებელს საახალწლო ლექსები და ხალხური სიმღერებიც შესთავაზეს.

დალი ხუციშვილის პირველკლასელმა მოსწავლეებმა მარიამ ბოსტაშვილმა, დიანა შტაიროვამ და კესო ბეგიაშვილმა ფორტეპიანოსთან შეასრულეს „უკრაინული“, „მოლდავური“ და „უნგრული“ სიმღერები. მეორეკლასელმა მარიამ ნატროშვილმა შეასრულა ბახის „გუდასტვირი“, მეოთხეკლასელებმა - ნიკოლოზ გველუკაშვილმა და ნიკოლოზ პაპაშვილმა დაუკრეს „ბეთხოვენის ცეკვა“ და „გრიბოედოვის ვალსი“ , ხოლო მეექვსელასელმა გარნიკ ტომასიანმა დაუკრა „გრეჩანინოვის“ ვალსი.

პედაგოგ მადლენა ყოჩიაშვილის მოსწავლეებმა ლანა მენთეშაშვილმა და ნიკა სეფიაშვილმა დაუკრეს „ნეტაი, გოგოვ, მე და შენ“ და „გურილოვის პრელუდია“.

პედაგოგ ფიქრია ქადაგიძის პირველკლასელებმა: ნიკა ლომაშვილმა, დავით ხოსროშვილმა და მარიამ გამხვეტაშვილმა დაუკრეს „გუბერტის“ და „გნესინას“ ეტიუდები, ასევე „რუსული სიმღერა“. მეორეკლასელმა ელენა გოგილაშვილმა მოცარტის „მენუეტი“, მესამეკლასელმა ქეთევან ხიხაძემ დაუკრა „ჩერნის ეტიუდი“.

მაყურებელმა დიდი სიამოვნება მიიღო პატარების ასე მონდომებით შესრულებული ნაწარმოებებისგან ,ღონისძიებას მოსწავლეთა მშობლები, სკოლის პედაგოგები და დირექტორი დალი ელისაშვილი ადევნებდნენ თვალს. ქალბატონმა დალიმ კონცერტის დასასრულს მადლობა გადაუხადა მონაწილე ბავშვებს და მათ პედაგოგებს აქტიურობისა და გაწეული შრომისთვის.

ელზა ხარაშვილი

საახალწლო ნაძვის ხე განათდა

უკვე ერთი კვირაა ჩვენს ქალაქში წინასაახალწლო განწყობა სუფევს, გზებზე გაბულია ლამაზი გირლიანდები, რომლებიც ულამაზესი ხეივნის შთაბეჭდილებას ტოვებს. დაიდგა ნაძვის ხე ქალაქის ცენტრში, რომელიც ახალწლამდე ერთი კვირით ადრე, ქალაქის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა კულტურის ცენტრის თანამშრომლებთან, ცენტრის ხელმძღვანელთან ნონა ჯიბღაშვილთან და კულტურის ცენტრთან არსებულ ბავშვთა სტუდია „არლეკინოს“ ბავშვებთან ერთად აანთო. დიდ ნაძვის ხესათან მობრძანდა თოვლის პაპაც. ქალაქის მერმა კი პატარა ვირტუოზებისგან საახალწლო ლექსები და საშობაო სიმღერები მოისმინა. ბატონმა ნიკოლოზმა ქალაქის ცენტრში ნაძვის ხესთან რაიონის პატარებს მიულოცა დამდეგი ახალი წელი, უსურვა ბედნიერ, ძლიერ საქართველოში ცხოვრება და საახალწლო კარნავალამდე დაემშვიდობა. მოგეხსენებათ საახალწლო კონცერტი დედოფლისწყაროს კულტურის სახლში 25 დეკემბერს საღამოს 5 საათზე დაიწყება. მაყურებელს ელის დიდი სიამოვნება საახალწლო ღონისძიებაზე, ხოლო პატარებს თოვლის პაპის საჩუქრები, რომელიც მათთვის დედოფლისწყაროს მერიის სამსახურმა მოამზადა.

ლალი მეხრიშვილი

მრავალ ახალ წელს!

დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლში სასიკეთო ცვლილებებია, მცირე დარბაზში სითბო და რბილი ფერები შეიმჩნევა, რაც მშობლის თვალს შეუმჩნეველი არ რჩება. კედლებიდან ასეთივე სასიამოვნოდ გვიცქერიან კლასიკოსი მუსიკოსების ჩარჩოში ჩასმული ფოტოები, რაც ხელმისწავდომს ხდის მოსწავლეებისთვის, ყოველდღიურად შეავლონ თვალი ცნობილ კომპოზიტორებს და იცნობდნენ მათ პორტრეტებს. სწორედ ამ დარბაზში კლასის კონცერტი არაერთხელ მოგვისმენია, თუმცა ლამაზი დეკორაციულობით მორთულ გარემოს თვალი ადვილად ამჩნევს. ეს დღე პედაგოგების თამარ კიკილაშვილის, დარეჯან შანშაშვილის, ქეთევან მაჭარაშვილის მოსწავლეების ღია გაკვეთლს მიეძღვნა. მოსაზრებაზე, რომ მუსიკა დიდ როლს თამაშობს ადამიანის პიროვნების სწორად ფორმირებასა და მუსიკალური გემოვნების ჩამოყალიბებაში, უკვე ყველა შეთანხმებულია. სწორედ ამიტომ საზოგადოების დიდმა ნაწილმა კარგად უნდა გააცნობიეროს, რა როლს თამაშობს მუსიკალუყრი სკოლები რეგიონში და რამდენად დიდი მისია აკისრია მას.

პედაგოებზე, რომლებზეც მთელი წელი ჩვენი შვილების კლასიკური მუსიკალური განათლება გვაქვს მინდობილი, ვფიქრობთ, თავის შესაძლებლობის ფარგლებში ყველა ძალა იპოვეს, რომ შემოდგომის სასწავლო სემესტრში გათვალისინებულ პროგრამულ ნაწილზე მეტი შეესწავლათ ბავშვებს. რა შეძლეს და რამდენად, ამის შესაფასებლად მშობლისთვის და დირექციისთვისაც ღია გაკვეთილი კარგი საშუალება გახლავთ შესაფასებლად.

ვიოლინოზე და ფორტეპიანოზე დაუკრეს მოსწავლეებმა მარიამ ბოსტოღანაშვილმა, ქეთევან საბიაშვილმა, მარიამ ჯინაშვილმა, ნანიკო ნატროშვილმა-გვანცა ყავრელიშვილმა, ირაკლი საბიაშვილმა, გურამ გოგაშვილმა, ნიკა სეფიაშვილ მარიამ გონაშვილმა, ლიზი ზედელაშვილმა, შესრულდა შუმანის, კოროვიცინის, მეილიხის, გლუკის, შუბერტის, ჩერნის, ექსანიშვილის, ვებერის ნაწარმოებები. ლექსი წაგვიკითხა ხელოვნების სკოლის პირველი კლასის მოსწავლემ მარიამ ხუციანიძემ, ხოლო ლუკა ყაჭაშვილმა და ნათია ჯანაშვილმა სკოლის დირექტორის დალი ელისაშვილის აკომპანიატორობით შეასრულეს სიმღერა „მრავალ ახალ წელს“. კლასის ზეიმი ალა-ფურშეტით და ტორტის გაჭრით დასრულდა.

ლალი მეხრიშვილი

თამარ ყველაშვილის ცხოვრება „ნიჭიერამდე“ და „ნიჭიერის“ შემდეგ....

ალბათ ყველას გვახსოვს, გასულ წელს ნიჭიერის სცენაზე გამოჩენილი ახალგაზრდა ქალბატონი, თამარ ყველაშვილი, რომელმაც ნიჭიერის სცენა დაიპყრო საოპერო არიების შესრულებით. მაშინ თამარ ყველაშვილმა პირველივე გამოსვლით ოქროს ღილაკი დაიმსახურა. გვახსოვს ისიც , რომ თამარ ყველაშვილი თბილისელი გახლდათ, რომელიც ჩვენს რაიონში, კერძოდ სოფელ ოზაანში ახალმოსახლე გახლდათ თავისი ორი მცირეწლოვანი შვილით. თამარმა სოფელი ტყიანი ადგილის გამო შეარჩია საცხოვრებლად, რადგან მისი შვილის, 4 წლის დათუნას ჯანმრთელობას ეს წამლად და საკურნებლად სჭირდებოდა. სწორედ შვილის განვითარებისა და მისი ამეტყველების მიზნით წამოწყებული საოპერო არიების შესწავლა გახდა საფუძველი თამარ ყველაშვილისთვის, რომ მას ნიჭიერში ეცადა ბედი. მართალია, მან ფინალში პირველი ადგილი ვერ მიიღო შემოსული ზარების შესაბამისად, თუმცა, ღირსეულად იმღერა და, რაც მთავარია, მაყურებელს დაამახსოვრა თავი.

რა შეიცვალა ნიჭიერის შემდეგ თამარ ყველაშვილის ცხოვრებაში და როგორ გრძნობს ის თავს მას შემდეგ, სად არის თამარი თავისი შვილებით ახლა და რას საქმიანობს, ამასთან დაკავშირებით, რამდენიმე დღის წინ შევეხმიანე. მან თავისთან სტუმრად მიმიწვია და მასპინძლობა შემომთავაზა. ასეც მოხდა, დეკემბრის ერთ მშვენიერ საღამოს თბილისიდან ჩამოსული თამარ ყველაშვილის სტუმარი გახლდით სოფელ ოზაანში.

-თამარ, მოგვიყევი როგორ წარიმართა თქვენი ცხოვრება ნიჭიერში გამოსვლის შემდეგ, რა შეიცვალა თქვენი და თქვენი შვილების ცხოვბრებაში?

-მინდა გითხრათ, რომ ძალიან ბევრი რამ შეიცვალა, პირველ რიგში, საცხოვრებლად გადავედით თბილისში, ეს დათუნას მუდმივმა მკურნალობამ მოითხოვა. მოგეხსენებათ, ნიჭიერში ჩემი მონაწილეობის შემდეგ, კომპანია „ავერსმა“ თავიდან ბოლომდე დათუნას მკურნალობა თავის თავზე აიღო, ეს გახლავთ საკმაოდ ვრცელი და ხანგრძლივი მკურნალობის პროცესი, რომელიც დღემდე გრძელდება. თავიდან, სოფლიდან დამყავდა ბავშვი ქალაქში, მერე მივხვდი, რომ მიკროავტობუსით ხელში აყვანილი ბავშვით სიარული თბილისში ურთულესი იყო(მოგეხსენებათ, რომ ქ-ნი თამარის დათუნა 4 წლისაა, თუმცა ის ვერ დადის). მალე მივხვდი, რომ თბილისში გადასვლა აუცილებელი იყო, რათა მკურნალობის პროცესი არ შეგვეწყვიტა. ბინა ვიქირავე და გადავედი ჩემი ორი შვილით. როდესაც პრობლემებმა იმატა და ბინის ქირა, კვება, ტრანსპორტი და გათბობის გადასახადების აუცილებლობა დადგა, სამსახურის ძებნას შევუდექი. შევავსე საკუთარი სივი და გავაგზავნე რამდენიმე ვაკანტურ ადგილზე, სადაც გამოცხადებული იყო კონკურსი, გაგზავნიდან ორ საათში იყო ზარი, მივედი გასაუბრებაზე და მაშინვე ამიყვანეს. ეს გახლავთ „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ სამსახური, რომელიც ცაკლე განყოფილებით მუშაობს რეგიონში წყლების პროექტირებისა და წყლების წმენდის დაპროექტირების საკითხებზე. ძალიან საინტერესო სამსახურია, საკმაოდ მაღალანაზღაურებადი, რამაც ჩემი ეკონომიური მდგომარეობაც გააუმჯობესა და მომცა დიდი სტიმული, ვიყო ბევრად მობილიზებული. შენი მუშაობით ქვეყანას გამოადგე და შეადგენდე რგოლს ქვეყნის მშენებლობის საკითხში, ალბათ, არ გესწავლებათ, საკმაოდ სასიამოვნო განცდაა. ჩემი სამსახური ახალი სფეროა ჩემთვის. ის ახალი გამოწვევაა, მეტად აზარტულია და საინტერესო. მე მაბარია საბუთები, მოგეხსენებათ ამჯერად ყველა კომპანიაში საბუთები რუსულ და ინგლისურ ენებზე იწარმოება, რადგანაც მე ეს ენები კარგად ვიცი, მთლიანად საბუთების უცხოურ ენებზე შედგენას ვუძღვები კოლეგებთან ერთად.

-თამარ, რაკი თქვენ ასეთ სამსახურში მოხვდით, მინდა გკითხოთ და ჩემი მკითხველისთვისაც მეტად საინტერესო იქნება ჩვენი რაიონის წყლის საკითხი როგორ განიხილება თქვენთან და თუ იგეგმება ჩვენთან რაიმე სიახლე წყლის ხარისხის ამაღლების კუთხით. მოგეხსენება, ჩვენთან კირქვიანი ნიადაგის გამო, წყალიც კირქვას შეიცავს და მოსახლეობას აქვს მუდმივი განცდა, რომ არასასურველ წყალს იღებს ონკანებიდან, თუ არის დედოფლისწყაროზე წყლის გაფილტვრა რომელიმე პროექტით გათვალისწინებული?

– დიახ, ჩვენ დაქსელვის წმენდას ვაკეთებთ. გაერთიანებული წყლების პროექტებზე და წმენდა- დაპროექტირებაზე ვართ ორიენტირებული ზუსტად. 2017 წელს ხაშური, დუშეთი, აბასთუმანი, ადიგენი, - ეს რაიონები იყო ჩასმული და ვაპროექტებთ 2018-წელს, თუმცა, არც 2018 წელში არ ჩანს დედოფლისწყაროსთვის რაიმე პროექტი . ანუ, ჩვენი კომპანია რას ახდენს, წყალი შემოდის, მუშავდება აბსოლუტურად 100% თავისი დადებითი და უარყოფითი თვისებებით და მოსახლეობამდე მიდის უმაღლესად სუფთა. ანალოგიურად ხდება ჩამდინარე წყალზე, ისიც უნდა გაიწმინდოს და ბუნებას უნდა დაუბრუნდეს სუფთა. ეს სისტემა არის ევროპული და ნამდვილი. ახლა ვაკეთებთ თბილისის ზოგიერთ გარეუბანს, სადაც ამ ხარისხით არ ხდებოდა წყლის მიწვდა, როგორც ცენტრალურ უბნებში.

-თამარ, საინტერესოა თქვენი მეორე შვილის, ნინიკოს ცხოვრება და სასცენო ასპარეზზე მისი გამოჩენა, ჩვენ მას ვხედავთ, რომ ის დგას სცენაზე და მღერის. რა ხდება ნინისთან, მას დედის ნიჭი გამოჰყვა, თუ ეს უბრალოდ მოსინჯვაა?

-არ მინდა ჩემი შვილი მე თავად ვაქო, მაგრამ გეტყვით, ჩემი ნინი არის 11 წლის, საკმაოდ ნიჭიერი ბავშვია, აქვს სცენისთვის საჭირო შარმი და სიმღერის ნიჭი, მინდა, რომ ის, რაც ჩემს თავზე ვერ განვახორციელე ბავშვობიდან, მას არ მოვაკლო. მე რაც ვიყავი ნიჭიერში, ეს გახლდათ მთლიანად ჩემი, ბუნებრივად ნასწავლი, ნინის გამოჰყვა ნიჭი სიმღერის და ამიტომ, არ მინდა ის პედაგოგის და ვოკალის სპეციალისტის გარეშე დარჩეს. მისი ხმა სპეციალისტის ხელშია, უპირატესობა მივანიჭე ჭოხონელიძეების სტუდიას, ქალბატონმა თამარმა ბავშვის ხმა გასინჯა და იმდენად მოეწონა, რომ მადლობა გადამიხადა, რომ მათ სტუდიაზე შევაჩერე არჩევანი, ამავე დროს, ნინის სწავლა უფასოდ შემომთავაზა. ნინის უკვე აქვს გამოსვლები, სცენასთან შეხება, ჯერ-ჯერობით სწავლობს, ვნახოთ, მომავალი რას გვიჩვენებს.

-ვისაუბროთ დათუნაზე, რა ხდება მასთან?

-დათუნა საკმაოდ სერიოზული მკურნალობის კურსს გადის ავერსის კლინიკაში, ჯერ ვერც ავლაპარაკდით და ვერც დავდივართ, მაგრამ დაგეგმილი გვაქვს რთული ოპერაცია, ვნახოთ, რა შედეგს მოიტანს ის.

-ოზაანის სახლი მიატოვეთ, თუ როგორ არის?

-არა, ოზაანის სახლში მე იმხელა ენერგია და იმხელა სიყვარული ჩავდე, იმდენი რამ გავაკეთე, რომ რატომ მივატოვებ? ყოველ მეორე შაბათ - კვირას ჩამოვდივარ ჩემი შვილებით და აქ ვატარებ უქმეებს, ზაფხულშიც ჩამოვალთ. მართალია, ქათმები აღარ მყავს, მაგრამ სუფთა ჰაერზე ყოფნა ხომ გვინდა, ქალაქისგან განსხვავებით, მშვენიერი ჰაერია აქ. მალე მანქანასაც შევიძენ და უკვე მანქანით ჩამოვალთ.

-თამარ, ძალიან აქტიური, ენერგიული და ენთუზიაზმით სავსე გოგო ხარ, ხარ მაგალითი და აღვივებ ადამიანებში განცდას, რომ შეუძლებელი არაფერია. მინდა, წარმატებები გისურვო, როგორც პირად, ასევე სამსახურეობრივ და ოჯახურ გარემოში.

ლალი მეხრიშვილი

ცხოვრება სტატუსის გარეშე

რედაქციაში 61 წლის ქალბატონი, ემა გეორქოვა გვესტუმრა. მან ჩვენი დახმარება ითხოვა. აღმოჩნდა, რომ ქალბატონი აზერბაიჯანსა და სომხებს შორის მომხდარი კონფლიქტის გამო, 25 წლის წინ აზერბაიჯანიდან გამოაძევეს. მაშინ ქალბატონმა ემამ ორი მცირეწლოვანი შვილით საქართველოს, კერძოდ, სომხებით დასახლებულ ალაზნისპირა სოფელ საბათლოს მიაშურა. ის, რომ ქალბატონი 25 წელი საბათლოს მკვიდრია, ამას სოფლის რწმუნებულის მიერ გაცემული საბუთებიც ადასტურებს, თუმცა, მას დღემდე არც პირადობის მოწმობა აქვს და არც არანაირი სტატუსი. მართალია, ემა გეორქოვა, წლებია ,დადის სტატუსის აღსადგენად, მაგრამ, როგორც თავად აცხადებს სხვადასხვა ინსტანციებში მისი გაგზავნით საქმე ისე წყდებოდა,რომ შედეგი არ დგებოდა. ახლა ემა გეორქოვა პენსიის ასაკს მიუახლოვდა და უკვე იმ რეალობის წინაშე აღმოჩნდა, რომ ვერც პენსიას იღებს და ვერც ბანკებთან თანამშრომლობს, მიზეზი მარტივია, მას არანაირი ოფიციალური საბუთი არ გააჩნია, რომ არის საქართველოს მოქალაქე. როგორც დედოფლისწყაროს მოქალაქეთა მომსახურების სააგენტოში მას უთხრეს, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს უნდა მიმართოს, თუმცა, მანამდე მაინც რედაქციას მოაკითხა დახმარებისთვის.

„შირაქის“ რედაქცია დაუკავშირდა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს და აუხსნა ემა გეორქოვას სიტუაცია. გარდა ამ პრობლემისა, ქალბატონი ემას 29 წლის ვაჟი ჰყავს, რომელიც ასევე პირადობის მოწმობის გარეშეა დარჩენილი. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში გვიპასუხეს, რომ თუ სოფელ საბათლოს ასეთი მოქალაქეები ჰყავდა, სოფლის რწმუნებული მუნიციპალიტეტის გამგებელთან თანამშრომლობით ვალდებული იყო მოემართა ჩვენი სამინისტროსთვის, რათა მის მოქალაქეებს დავხმარებოდით და მიგვენიჭებინა სტატუსი. —„ თუ სოფლის გამგებელს არ ჰქონდა ამის შესაძლებლობა, მას რაიონის გამგებლისთვის მაინც უნდა მიემართა, რომელიც შესაბამის სამსახურს ჩართავდა და გამოაგზავნიდნენ მონაცემებს. რაკი ასე არ მოხდა, ამ შემთხვევაში მოქალაქე აუცილებლად უნდა მოვიდეს თბილისში, თამარაშვილის N15-ში და შემოიტანოს საბუთები, გარკვეული ინსტანციების გავლის შემდეგ, ჩვენ მას სტატუსს აუცილებლად მივანიჭებთ“, -აღნიშნეს ლტოლვილთა სამინისტროში.

მიუხედავად იმისა, რომ ემა გეორქოვამ ჩვენ მოგვაკითხა დახმარებისთვის, ჩვენ სხვა არაფერი შეგვიძლია, გარდა იმისა, რომ სამინისტროს დავუკავშირდეთ და კვლავ შევაწუხოთ მის საკითხზე, თუმცა, ყველაზე მთავარი მაინც ისაა, რომ, თუკი მოქალაქე უსტატუსოდ ცხოვრობს ქვეყანაში, დროულად მიაკითხოს შესაბამის სამსახურებს და მიიღოს სტატუსი, წინააღმდეგ შემთვევაში ასეთ რთულ მდგომარეობამდე მივა.

P.S. ადამიანს 25 წელი პირადობის მოწმობა არ აქვს, თუმცა ვიცით, რომ ასეთი ადამიანი არა ერთი და ორია. საინტერესოა, ვინმე თუ აღნუსხავს, კიდევ რამდენი მოქალაქე გვყავს ასეთი უსტატუსო და უსაბუთო?! ჩვენის მხრიდან მოვუწოდებთ მოქალაქეებს, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომაც გვთხოვა, როგორც მასმედიის წარმომადგენლებს, გავაუქოთ ეს საკითხი და მივიტანოთ ადამიანებამდე ინფორმაცია, რომ აღარ გაირთულონ მდგომარეობა და თუ არიან კიდევ ქვეყანაში ასეთი უსტატუსო მოქალაქეები, რომლებსაც ელემენტარულად პირადობაც არ გააჩნიათ, ნუღარ გაიყვანენ ათეულ წლებს, გამონახონ საშუალება და მიაწვდინონ ხმა ან გამგეობას, ან მივიდნენ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში, რათა აღიდგინონ სტატუსი და მიიღონ მოქალაქობა.

ლალი მეხრიშვილი

„ლექსის სახადი ჩემი ხვედრია...“

ჯუმბერ უთრუთაშვილის, როგორც პოეტისა და შემოქმედის, სახელი რაიონისთვის უცხო არ არის. მას თითქმის ყველა იცნობს. ის, ამასთან ერთად, ერთი ცქრიალა, ცისფერთვალება გოგონას - ანა იგნატიევას პაპაა. ანა ქ. დედოფლისწყაროს N2 საჯარო სკოლის მე-6 კლასის წარჩინებული მოსწავლეა. ბავშვებში იდეაც სწორედ აქედან წამოვიდა. კლასის დამრიგებელს – ელენე კიკილაშვილს გააცნეს ჩანაფიქრი და მისი ხელმძღვანელობით კიდევაც განახორციელეს იგი. შეისწავლეს მისი ბიოგრაფია, შემოქმედება და ამ დღეებში მათ შეხვედრა მოუწყეს პოეტს დევიზით: „პოეზია უპირველეს ყოვლისა“.

ჯუმბერ უთრუთაშვილი ერთი ალალ-მართალი კაცია და სულის სიღრმემდე ფაქიზი ლექსების ავტორი, რომელიც „მის გულში დრომ შვა“. დრო კი, მის მიმართ, არც თუ მთლად სამართლიანი იყო. როგორც თვითონაც ამბობს, ჩვილობიდანვე დაჰყვა უიღბლობა. 9 თვისას დედა მოუკვდა. ცალუღლად დარჩენილმა მამამ და უფროსმა დამ, ციალამ, იტვირთეს მისი გაზრდა. არბოშიკის აღმართ-დაღმართებსა და მთა-გორებზე სირბილში გაილია მისი ბავშვობა, მერე კოლმეურნეობის დახმარებით ერთწლიანი სამშენებლო სასწავლებელი დაამთავრა, იცხოვრა სოფლადაც და ქალაქადაც. რუსთავში ცხოვრებისას შეეძინა ქალ-ვაჟი, დედოფლისწყაროში მობრუნებულს და დამკვიდრებულს კოჟანდარა მალხაზიც შეემატა, რომელიც ჯუმბერის ცხოვრების ყველაზე დიდ და მოუშუშებელ იარად იქცა – ის, 19 წლის ასაკში, ავტოკატასტროფაში დაილუპა; სწორედ ამ ტკივილმა შექმნა ლექსების კრებული „მამის ცრემლები“. მას მერე გამოიცა წიგნები- „ზედაშე“, „ამაღლება“, „გოლგოთა“. იგი მწერალთა კავშირის წევრია, მან დააფუძნა და წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაციას „ფიროსმანი“. ჯუმბერ უთრუთაშვილის შესახებ ზემონათქვამი და სხვაც ბევრი რამ მისი ცხოვრებიდან ბავშვებმა ლიტერატურული ალმანახის „ხორნაბუჯი“ მესამე ნომრიდან შეიტყეს და მის შემოქმედებასაც წიგნებიდან გულმოდგინედ გაეცნენ. სწორედ ასე ააგეს ღონისძიებაც: ჯერ პოეტის ბიოგრაფია გააცნეს მსმენელს, შემდეგ მისი საუკეთესო ლექსები წაიკითხეს, იცეკვეს, იმღერეს და კიდევ ერთი ლამაზი დღე ჩაწერეს თავისი ბავშვობის ისტორიის ფურცლებში.

„ერთი უბრალო კაცი ვარ, სულით და ხორცით ქართველი, სამშობლოს მკერდზე ვანთივარ, როგორც საყდარში სანთელი!“- ომახიანად ამბობს გიორგი ბოდაველი, მას არც გიორგი სეხნიაშვილი ჩამორჩება- „არ გამრუდდება ჩემი გზა სწორი“, გადმოსცემს ის პოეტის მრწამსს და ხასიათს, „ვინც გამიღიმა, მე მეგონა მართლა მოკეთე, ვერ გამიგია, ვინ მტერი მყავს და ვინ მოყვარე... არ ვიცი არა, ამ ცხოვრების თავი და ბოლო, წაღმა რომ იტყვი, ზოგს ნათქვამი უკულმა ესმის“-პოეტის ეს სიტყვები რებეკა თეთრაულმა გააცნო მსმენელს, ლანა მენთეშაშვილმა კი უფლის სამადლობელი წარმოადგინა: „მადლობა ღმერთო, რომ ქართველად მე გამაჩინე, ამამეტყველე შოთასა და ილიას ენით, მამულის სენით რომ დამჭერ და არ მომარჩინე, რომ მასულდგმულებ ჩემი ხალხის ლხენით და წყენით“, ცოცხალი კაცის საფიქრალ-სადარდელს ლექსით „არ დაელევა ცოცხალ კაცს“ სალომე კახოიძე გვაცნობს, დიდი ნიკო ფიროსმანის სევდიან ისტორიას ნათია ჯანაშვილი ჰყვება: „გენატრებოდა ხან ლუკმა-პური, ჭიქა არაყიც ხშირად არ გქონდა, მაგრამ ეგ შენი მშფოთვარე სული ოცნებით მეცხრე ცაში დაჰქროდა“, ქიზიყის გულის–სიღნაღის სიყვარულით ამოხეთქილ სტრიქონებს -„ტკბილი ხარ, როგორც ოცნება“- ანა თეთრაული გადმოგვცემს. მწარე სვე-ბედით დაღლილ , 80 წელს მიტანებულ პოეტს მაინც მიაჩნია,რომ საკეთებელი კიდევ ბევრი აქვს და ამბობს: მე ჯერ არა მაქვს სიკვდილის ნებაო“ და მის სამომავლო გეგმებზე სწორედ მისი მომავალი,

პოეტის შვილიშვილი ანა იგნატიევა საუბრობს, „ღვთივკურთხეული ჩვენი მიწა - წყლის“ საგალობელს დიმა ჭაბაშვილი, ხოლო სამშობლოს სიყვარულით ანთებულ სტრიქონებს ლუკა გელაძე აცნობენ დამსწრეთ, სალომე ბენაშვილი კი პოეტის მიერ განვლილ ცხოვრების გზას ასე ახასიათებს:“ წუთისოფლის გზას მივყვები ჯახირითა და წვალებით, კუჭი პურით ვერ გავაძღე, ვერცა მზის ცქერით თვალები.“ სული კინაღამ წავწყმიდე უღვთო აზრით და ქცევითა, მე ზეცისაკენ მივილტვი, ეშმა მეწევა ქვევითა“.

ღონისძიებას აცოცხლებდა გიორგი ბოდაველის, ნათია ჭაბაშვილის, ანა იგნატიევას, სალომე ბენაშვილის, ლანა მენთეშაშვილის მიერ შესრულებული სიმღერები და ცეკვები. ბოლოს კი ყველამ ერთად „მრავალ ახალ წელს“ დააგუგუნა და ერთმანეთს ბედნიერი ახალი წლის დადგომა უსურვა.

ჯუმბერ უთრუთაშვილმა გულწრფელი მადლობა გადაუხადა მოსწავლეებსაც და მასწავლებლებსაც ამ სასიამოვნო წუთებისთვის და რამოდენიმე საკუთარი ლექსი წაიკითხა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ სკოლის დირექტორი ლალი იაკობიშვილი და სასწავლო ნაწილის გამგე ნათია პოპიაშვილი, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს მოსწავლეებს, კლასის ხელმძღვანელს ელენე კიკილაშვილს და მუსიკის მასწავლებელს ნინო ალადაშვილს საინტერესო ღონისძიების მოწყობისათვის.

ნაირა გორაშვილი

როგორ შევხვდეთ ახალ 2018 წელს?

აღმოსავლეთის ფილოსოფიაში თითოეული წელი გარკვეული ცხოველის თანხლებით მიმდინარეობს. ლეგენდის თანახმად, მათ პატივი ერგოთ, გამხდარიყვნენ 12-წლიანი ციკლის ერთ-ერთი წლის მფარველები.

ჩინური კალენდრით, 2018 წელს ყვითელი ძაღლის წელი დადგება. ძაღლი ყოველთვის იყო ერთგული მეგობარი, კარგი თანამოსაუბრე და მკაცრი მოსამართლე. მომავალი წელიც ამ მფარველი ცხოველის ნიშან-თვისებების შესატყვისად ჩაივლის, ამიტომ ყველა ნიშნისთვის გარანტირებული იქნება წარმატება და იღბალი.

ასტროლოგიური პროგნოზის თანახმად, დადებითი ტენდენციები შეეხება არა მხოლოდ კარიერულ ზრდას, არამედ პირად ცხოვრებასაც. მხოლოდ საჭიროა, მიზნისკენ აიღოთ გეზი და შედეგიც საოცარი იქნება.

ჩინური კალენდრით, ერთგული და მაღალინტელექტუალური ცხოველი – ძაღლი ყველა გაჭირვებულს დაეხმარება და დასჯის პირფერებს, ბოროტებსა და მატყუარებს. მისი გამოჩენით სამყაროში მშვიდობა და თანხმობა დაისადგურებს – მტრებს შორისაც კი. ეს წელი მშვიდი და ზომიერი იქნება, იდეალური – დიპლომატიური კავშირების დასამყარებლად, შეთანხმებებისა და ზავების მისაღწევად.

2018 წელი ოპტიმიზმისა და პოზიტიური განწყობის წელია.

ძაღლის წელს დაბადებულებისთვის 2018 წელი წარმატებული იქნება ნებისმიერ წამოწყებაში, ეხება ეს იმიჯისა თუ პროფესიის შეცვლას, ქორწინებას; ასე რომ, იმოქმედეთ!

ვირთხებს ბევრი მუშაობა მოუწევთ. ეს წელი რთული იქნება მათთვის, სამაგიეროდ, მუშაობის შედეგებით კმაყოფილი დარჩებიან. მთავარია, არ დაზოგონ დრო და არ იზარმაცონ!

ხარისთვის 2018 წელი სიურპრიზს ამზადებს – ეს ან ფულადი მოგება ან კარიერული წინსვლა იქნება. მათთვის პირად საკითხებში ბედნიერი თვე ნოემბერი იქნება.

ვეფხვებს 2018 წელი საკუთარი პოტენციალის რეალიზებასა და ნიჭის წარმოჩენაში შეუწყობს ხელს; ამაში კი მათ ძაღლი დაეხმარება – არ შეუშინდეთ სიახლეებს, თამამად იარეთ წინ, მიზნისკენ!

კურდღელი (კატა) მთელ

წელს ნებისმიერ საქმეში გამარჯვებებისკენ, პირველობისკენ სწრაფვას შეალევს. მთავარია, ზედმეტი არ მოუვიდეს და მაშინ მათი შრომა ნამდვილად დაფასდება!

დრაკონები ძაღლის წელიწადში ახალ მეგობრებს შეიძენენ. ამ ნიშნით დაბადებულ ადამიანებს ყურს დაუგდებენ და რჩევებს ჰკითხავენ. ისინი სიმშვიდისა და სულგრძელობის ტალღაში ჩაიძირებიან!

გველებისთვის ეს წელი თვითგანვითარების კუთხით უჩვეულო იქნება. ისინი შეძლებენ საკუთარი პიროვნების ახალი საზღვრების გახსნას, ნეგატიური ასპექტების დამუშავებას, რომლებიც მათ განვითარებას უშლის ხელს და უფრო ბრძენი და მომთმენი გახდებიან.

ცხენებს მშვიდი და სასიამოვნო წელი ელოდებათ. ერთადერთი პრობლემა მათთვის ჯანმრთელობა იქნება. რასთან ხუმრობაც ნამდვილად არ ღირს. ძაღლი ურჩევს, არ გადადონ მკურნალობა და საერთოდ, ეს საკითხი პირველ ადგილზე დაიყენონ.

თხებისთვის (ცხვარი) ეს ეტაპი წარმატებით ჩაივლის. ისინი ამ წელში თავდაჯერებულნი იქნებიან, საკუთარ ემოციებს მთლიანად დაიქვემდებარებენ. მათ წლის შუა პერიოდში რამდენიმე უჩვეულო შეხვედრა ელოდებათ.

მაიმუნებს ერთ ადგილზე რა გააჩერებთ; მათ სულ ცვლილებები და თავგადასავლები სწყურიათ. მაგრამ ფორტუნამ მათ საკუთარი გეგმები მოუმზადა. მათი წელი ჩაივლის ლოზუნგით: „სწავლა, სწავლა და კიდევ ერთხელ სწავლა”, ასე რომ, შეხვედრები და ახალი ნაცნობობა მეორე პლანზე გადაიწევს.

მამლებს უზენაესმა ძალებმა საკმაოდ მოულოდნელი საჩუქარი მოუმზადეს, რომელიც მათ ცხოვრებას კარდინალურად შეცვლის. ისინი მიიღებენ არნახულ შესაძლებლობებს, ასე რომ, შანსი არ უნდა გაუშვან!

ძაღლი მშვიდია, უყვარს რომანტიკა და ყოველთვის პოზიტიურ განწყობაზეა, თუმცა ახასიათებს მსუბუქი მელანქოლიურობაც. 2018 წელი იქნება ძალიან მშვიდი. ყველაზე მეტად ეს თქვენს მსოფლმხედველობას ეხება. პოლიტიკასა და ეკონომიკაში სიტუაცია შესაძლოა, არ შეიცვალოს, თქვენი დამოკიდებულება ცხოვრებაზე კი სრულიად შესაძლებელია.

2018 წლის სტიქია - დედამიწა. მიწის ენერგია დაგეხმარებათ ბედნიერების შენარჩუნების გზა იპოვოთ, განამტკიცოთ სასიყვარულო კავშირები და ოჯახური კერა.

ბუდისტური ქვეყნებისთვის აღმოსავლურ კალენდარს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მათთვის ეს ოჯახური დღესასწაულია და განსაკუთრებული სითბოთი ეგებებიან. ძაღლი კი სითბოს, სიყვარულისა და ოჯახის სიმბოლოა, ამიტომ 2018 წელს ორმაგად ეფექტურად შეეგებებიან. ჩინურ და სხვა აღმოსავლურ ერებს სწამთ, რომ ძაღლი ოჯახში ყველა უსიამოვნებას დაავიწყებს მათ. ეს იქნება საკუთარი ცხოვრების დალაგებისთვს საუკეთესო პერიოდი.

მიწის სტიქია უხვი მოსავლის სიმბოლოა, ამიტომ ფერმერები და აგრონომები ამ წელს დიდ და კარგ მოსავალს უნდა ელოდონ. ეს წელი ძალიან კარგია წარსული არეული ურთიერთობების დასალაგებლად. ამ წელს პატიების წელსაც კი უწოდებენ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ წლის მმართველი სტიქია მიწაა, ამიტომაც ძაღლი მოგვიწოდებს პატივი ვცეთ უკვე არსებულ და დამკვიდრებულ სტერეოტიპებს, ადათ-წესებსა თუ კანონებს. მიუხედავად იმისა, რომ ძაღლი ერთგულების სიმბოლოა, ამ წელიწადს მაინც არ არის გამორიცხული მოულოდნელი სიურპრიზები. აქედან გამომდინარე, დროდადრო, შესაძლოა, იგრძნოთ ენერგიის ნაკლებობა და სიზარმაცე, თუმცა ეს ხანმოკლე პერიოდი გაგრძელდება და ამის ნუ შეგეშინდებათ და ნუ განეწყობით პესიმისტურად.

მომავალი წელი დიდი აღმოჩენების წელი იქნება განსაკუთრებით სამედიცინო სფეროში, ასევე პოლიტიკასა და ეკონომიკაში. სტატისტიკის მიხედვით, ძაღლის წელიწადში არასდროს დაწყებულა ომი და რევოლუცია, პირიქით, ამ წელს ყოველთვის მთავრდებოდა ხოლმე მსგავსი მოვლენები.

ასტროლოგები გვირჩევენ, ახალ წელს ახლობლებისა და მეგობრების გარემოცვაში შევხვდეთ. მნიშვნელოვანია, რომ საახალწლო ღამეს სუფევდეს ოჯახური სიმყუდროვე, სიმშვიდე და სიწყნარე. არ არის საჭირო ზედმეტი ღრეობა. ახალი წლის შეხვედრა უმჯობესია სახლში, არ არის რეკომენდებული კლუბები და რესტორნები.

რაც შეეხება ჩაცმულობას, ეცადეთ შეარჩიოთ ერთ ან მაქსიმუმ ორ ფერთა გამაში გადაწყვეტილი სამოსი. ამ წლის ფერებია ყვითელი, ქვიშისფერი, ოქროსფერი, ყავისფერი, თეთრი, კრემისფერი და რძისფერი. ფერები არ უნდა იყოს მყვირალა, უპირატესობა თბილ ფერთა გამას მიანიჭეთ. მოერიდეთ ვულგარულ ჩაცმულობას, ღრმა დეკოლტესა და ძალიან მოკლე კაბებს. ეს ძაღლს არ მოსწონს.

სუფრის გაწყობის დროსაც ეცადეთ, იყოთ ზომიერები, არ არის საჭირო განსაკუთრებული დელიკატესები. ძაღლი კი არის გურმანი, თუმცა ზომიერება ყოველთვის საჭიროა. ტრადიციულ საახალწლო სუფრაზე უნდა იყოს ხილი, ბოსტნეული და, რა თქმა უნდა, ხორციც.

სუფრის მოსართავად კი შეგიძლიათ გამოიყენოთ ძაღლის გამოსახულებიანი აქსესუარები, ეს ძალიან აქტუალურია. გამოიყენეთ სანთლებიც, ეს თქვენს სუფრას სიმყუდროვეს შესძენს.

შირაქის სკივრი

1947 WLIS DEKEMBERI

○ SOFEL JAFARIZIS KOLMEURNEOBAM RVA SVILIS DEDA LIZA TETVAZE DEPUTATOBIS KANDIDATAD DAASAXELA. 2 VAJISA DA 6 QALISVILIS DEDAS 240 SROMADRE AQVS GA MOMUSAVEBULI. KOLMEURNEOBASI 1935 WLIDAN MUSAOBS. IM RGOLMA SADAC MRAVALSVILIANI DEDA MUSAOBS GEGMEBI FADAWARBEBIT SEASRULA. EWVI AR ARIS, ROM AMOMRCEVLEBI XMAS ERTSULOVNAD MISCEMEN DA IGIC MONDOMEBIT CADGEBA XALXIS SAMSAXURSI.

○ VEJINIS KOLMEURNEOBIS RVINIS WERTIS GAMGE NIKA SIMONISVILI KARGA XANIA WITELWYAROSI `MORVAWEOBS~. IGI CNOBILIA, ROGORC YOVLAD UPATIOSNO MOVAWRE. TAVISI UMSGAVSO MOQMEDEBIT SAXELS UTEXS KOLMEURNEOBAS. MIS XELSI SAUKETESO RVINO YOVLAD UXEIRO, NAMDVILAD SEIZLEBA ITQVAS, ROM WYLAD GADAIQCEVA. MTELI MISI VAWROBA ASETI FAQTEBIT ARIS SAVSE. WITELWYAROSI MRAVALI RVINIS WERTIA. ARC AQ ARIS RVINO DAZRVEULI `MONATVLISGAN~, MAGRAM AM SAQMESI REKORDI MAINC SIMONISVILS EKUTVNIS. UFRO SAKVIRVELI IS ARIS, ROM MOMXMAREBLIS DA CINVA DA MOTYUEBA RAIVAWROBIS TVALWINXDEBA DA IS AMAS `VER AMCNEVS~. SAKOLMEURNEO VAWROBIS GAMYALBEBLEBI, SAKUTARI JIBIS GAMSQELEBLEBI, USINDISO MOVAWRENI, SAKOLMEURNEO WERTIDAN DAUYOVNEBLIV UNDA AILAGMON.

○ RAMDENIME KVIRAA MUSAOBA DAIWYO WITELWYAROS RAIONIS EQVSTVIANMA PARTIULMA SKOLAM. MASSI GAERTIANEBULIA RAIONIS CENTRIS PARTIULI DA SABWOTA AQTIVIDAN 24 AMXANAGI. PARTIUL SKOLEBSI IKITXEBA SEMDEGI DISCIPLINEBI: SAKAVSIRO ISTORIIS MOKLE KURSI. SSR KAVSIRISA DA UCXOETIS QVEYNEBIS EKONOMIURI GEOGRAFIA. PARTIULI DA SABWOTA MUSAOBIS SAKITXEBI.

○ ARBOSIKELI KOLMEURNEEBI MORLILNIRAME MOSVENEBAS MIECNEN DA TKBILAD DAIZINES. MAGRAM AR EZINEBODAT MEURMEEBSA DA SAVELE SAWYOBIS GAMGEEBS. BOROTI GANZRAXVA AR ASVENEBDAT DA XELSAYREL MOMENTS ELODNEN. MAT SAVELE SAWYOBIS GAMGE A. BARASVILTAN SETANXMEBIT 5 TOMARA XORBALI 505 KG KOLMEURNEOBAS MOHPARES DA MIITVISES. NAWILI RVINOZE GACVALES DA DIDRONI WIQEBIT ERTMANETS LOCAVDNEN. MAGRAM BOROT KVALS SAGAMOZIEBO ORGANOEBMA MALE MIAGNES DA QURDEBI PASUXISGEBASI MISCES. MAT 12-10-8 WLIT SROMAGASWOREBIS BANAKSI MOTAVSEBA MIESAJA, QONEBIS KONFISKACIIT.

○ WITELWYAROS MTS-IS KOMKAVSIRELI TRAQTORISTI AMX. L. GONASVILI SRULIAD UPASUXISMGEBLOBAS ICENS DAKISREBULI MOVALEOBISADMI. SASEMODGOMO MUSAOBIS DAMTAVREBIS SEMDEG TAVISI TRAQTORI MINDVRAD UPATRONOD MIATOVA DA TITQMIS SAMI KVIRA AR MOIKITXA. ROCA TRAQTORI MTS-SI MIITANES, GAZARCVULI ARMOCNDA. GONASVILMA KIDEV ERTI DANASAULI DAUMATA DA REMONTZE SAMUSAOT AR GAMOCXADDA. MTS-IS KOMKAVSIRULMA ORGANIZACIAM UDISCIPLINO KOMKAVSIRELS SATANADO UNDA MIUZROS

○ UYURADREBOBIS GAMO ZEMO MACXAANIS KOLMEURNEOBIS MEMINDVREOBIS # 4 BRIGADASI ORI XARI MOKVDA. BRIGADIS BRIGADIRI G. NATROSVILI SRULIAD UPASUXISMGEBLOD EKIDEBA TAVISZE DAKISREBUL MOVALEOBAS. AR ARIS DISCIPLINA DA VISAC ROGOR UNDA ISE IYENEBS MUSA-SAQONELS. MAGRAM XAREBIS SIKVDILIS GAMO JERAC ARAVIS MOUTXOVIA MISTVIS PASUXI. MIS UYURADREBOBAS MIEWEREBA ISIC, ROM MAN `MLASE XEVIS~ NAKVETEBSI UYURADREBOD MIATOVA ZIGZAGI FARCXI, ROMELIC MOGVIANEBIT GARESE PIREBIS MIERGANADGUREBUL IQNA. SAINTERESOA, RA INTERESI AQVS KOLMEURNEOBIS GAMGEOBAS, ROM NATROSVILS PASUXS ARA STXOVS?

1966 WLIS DEKEMBERI

○ JER KIDEV GVYAVS ADAMIANEBI, ROMLEBIC CDILOBEN SXVATA MOTYUEBIS XARJZE TITON GAMDIDRDNEN. ZEMO QEDIS AVEJIS MARAZIIS GAMGE-GAMYIDVELMA V. YOCIASVILMA MOATYUA MYIDVELI, ZEMO QEDSI MCXOVREBI N. BILANISVILI. MAGIDASA DA OR SAWOLSI 35 MANETIT ZEDMETI TANXA GADAAXDEVINA. WITELWYAROS SAXALXO SASAMARTLOM A. SEFIASVILIS -TI VMJDOMAREOBIT YOCIASVILS DAMSAXUREBULI SASJELI GAMOUTANA.

○ QVEMO QEDIS KOLMEURNEOBAM SIRAQSI GA ASENA QARSAFARI ZOLEBI, ROMELIC SAIMEDOD ICAVS NATESEBS QARISGAN. WELS NERGEBI KARGAD GAIZARDA DA GACILEBIT METI EFEQTI HQONDA.

○ SASIAMOVNO SANAXAVIA AXLADGASENEBULI NARGAVEBI SOFEL JAFARIZESI TBIS GARSEMO FERDOBZE. MARADMWVANE MCENAREEBI KIDEV UFRO MIMZIDVELI GAXDEBA MOMAVALI WLIS

TVIS, ROCA XEEBI KIDEV UFRO AIYRIS TANS DA ZAFXULIS MCXUNVARE DREEBSI TBIS SANAPIROZE CRDILS SEHQMNIS.

1988 WLIS DEKEMBERI

○ KARGI SAQME GAAKETA WITELWYAROS SINAGAN SAQMETA RAIGANYOFILEBIS SAXELMWIFO AVTOINSPEQCIAM IMIT, ROM QALAQSI SUQNISNEBI GANATAVSA. RAIKAVSIRIS ADMINISTRACIULI SENOBIS WIN, GZAJVAREDINZE XSIRAD XDEBODA AVTOSATRANSPORTO SEMTXVEVEBI. AXLA KI GAMAFRTXILEBELI SUQNISANIA DAKIDEBULI.

○ SOFEL ARBOSIKSI, PATATISVILIS SAXELOBIS SKOLIS SENOBASI MOSLILIA GATBOBIS BATARIEBIS TITQMIS NAXEVARZE METI. UMOQMEDOBIS GAMO, PATARA BAVSVEBS OJAXEBIDAN CANTIT MIAQVT SESA, MAGRAM AM SEMTXVEVASI KVAMLIS ISETI KORIANTELI DGEBA KLASEBSI, ERTMANETS VER GAARCEVT. SASWRAFOD UNDA MIEXEDOS AM SAKITXS, RATA MOSWAVLEEBS -SI SABAMISI PIROBEBI HQONDET.

○ ZEMO MACXAANIS KOLMEURNEOBIS TELAWYLIS TERITORIAZE SAEQSPLUATACIOD GADAECA ME - ROREOBIS AXALI KOMPLEQSI. SARORE 220 SULI DEDA RORIS TEVADOBISAA. TITQOS YVELAFERI RIGZEA, MAGRAM MECXOVELE MUSAKEBISTVIS SACXOVREBELI SAXLIS MSENEBLOBA RATOMRAC GAMORCENIAT DA MOMVLELEBI SARORESI, SXVADASXVA DANISNULEBIS SATAVSOEBSI SZINAVT DA CXOVROBEN. SWORED AQ SEGVIZLIA VIXMAROT PARADOQSALURI GAMOTQMA: ROREBISTVIS UFRO METS ZRUNAVENVIDRE ADAMIANEBZE. ROGORC GAMOIRKVA, BINIS MSENEBLOBA PROEQTSI AR YOFILA. MAGRAM, GANA SEIZLEBA ISETI PROEQTI SEMOGVTAVAZON, SADAC SAXLIS MSENEBLOBA GANSAZRVRULI AR ARIS DA MOMVLELEBI SARORESI IMYOFEBODNEN?

○ MIWISZVRIT GAMOWVEULMA UBEDUREBAM DANGREULI SAXLKARI MIATOVEBINA KIROVAKANELI NATALIA ARUTINIANS. IGI SABATLOSI CAMOVIDA SVILEBTAN ERTAD. DANARCENI AXLOLEBI DAERUPNEN. ERTXEL NATALIA WITELWYAROSI AMOVIDA SURSAT-SANOVAGIS SESAZENAD. SASINELI UBEDUREBIT JER KIDEV GAOGNEBUL QALS XELCANTA DARCA. GAMYIDVELMA NATELA JAMALASVILMA ROGORC KI SENISNA XELCANTA, NAPOVNI WITELWYAROS MILICIIS GANYOFILEBASI WARADGINA. MASSI ARMOCNDA, FULI, OQROS SAATI SAMAJURIT, MAMAKACISA DA QALIS BEWDEBI. RAMDENIME SAATSI SESINEBULMA QALMA MILICIIS GANYOFILEBAS MIAKITXA. MIS SIXARULS SAZRVARI AR HQONDA, ROCA GAIRKVA, ROM NIVTEBI IQ INAXEBODA DA UKLEBLIV CABARDA.

○ `RAIONIS KULTSAXLIS SCENAZE BEVRI CNOBILI MOMRERALI MDGARA, CAMOTVLA SORS WAGVIYVANS, MAGRAM ERTI RAM CXADIA KULTSAXLI VERAR AKMAYOFILEBS TANAMEDROVE MOTXOVNEBS. VERC ESTETIKURAD, VERC FARTOBIT, VERARC TEQNIKURI ARWURVILOBIT DA SCENIS SIDIDIT. DID ANSAMBLEBS, MIT UFRO MOCEKVAVEEBS UWIRT SEMOQMEDEBIS SRULAD WARMOCENA. CVENS MEZOBEL RAIONEBSI BEVRI KULTURIS KERA GAIXSNA, BOLO WLEBSI KI CVENI RAIONI VERAFRIT DAIKVEXNIS. IQNEB DROA, WITELWYAROSIC MOEWYOS TANA - MEDROVE MOTXOVNEBIS SESABAMISI DARBAZI,~ GVWERS MKITXVELI, MAIA ALADASVILI.

(STILI DACULIA)

მოამზადა
ილია მარტყოფლიშვილმა

არსენ ყარაგვეზაშვილის ოქრო მსოფლიო თასზე სტამბულში

16-17 დეკემბერს თურქეთის ქალაქ სტამბულში მსოფლიო თასის გათამაშება გაიმართა შერეულ ორთაბრძოლებში, სადაც საქართველოც მონაწილეობდა.

დედოფლისწყაროელი მებრძოლი არსენ ყარაგვეზაშვილი **W.T.O** ვერსიით შერეულ ორთაბრძოლებში (TO KI MA) მსოფლიო თასის გამარჯვებული გახდა. ქალაქ სტამბულში მან ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა და ნოკაუტით დაამარცხა თურქი მებრძოლი ემილხან ქალჰანი.

როგორც მისი მწვრთნელი, თამაზ ყარაგვეზაშვილი ჩვენთან საუბრისას ამბობს, იგი საქართველოდან W.T.O ვერსიით პირველი ჩემპიონია ორთაბრძოლების ამ სახეობაში. „მსოფლიო თასზე მიწვეული ვიყავი, როგორც პროფესიონალი მებრძოლი, ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, რადგან ამ სახეობაში პირველად მოვსინჯე საკუთარი შესაძლებლობები. მინდოდა შერეულ ორთაბრძოლებშიც მიმეღო მონაწილეობა. ამჯერად შევხვდი თურქ მებრძოლს და გამიმართლა., აშკარა უპირატესობით, ნოკაუტი დავაფიქსირე," - აღნიშნავს არსენ ყარაგვეზაშვილი.

არსენ ყარაგვეზაშვილი 2014 წლიდან მსოფლიო ჩემპიონია კიკბოქსინგში, ასევე ფლობს პროფესიონალურ ქამარს ტაილანდურ კრივში **K1**-ში. ის ახლა ბრუნდება საქართველოში.

ილია მარტყოფლიშვილი

ხსოვნა

თამაზ (ბათია) ტუსაშვილი



2006 წლის 22 დეკემბერს დაეშვა შენი სიცოცხლის ფარდა და მარადისობაში გადახვედი. სახლიდან ნაჩქარევად წახვედი, აღტაცებული და გაღიმებული. ვინ იცოდა, რომ გზაში ბედისწერა გყავდა ჩასაფრებული და ასე სიკვდილთან მიიჩქაროდი. რამდენიმე საათის შემდეგ დედოფლისწყაროში მეხივით გავარდა შენი ტრაგიკულად დაღუპვის თავზარდამცემი ამბავი. 11 წელი გავიდა, შვილო, გელოდები, მაგრამ არსაიდან მეჩვენები. შენი შვილი ილიკო მოხუცებულებს დიდ პატივს გვცემს. მაინდან ილოცე, შვილო, შენი შვილისთვის, რძლისთვის, შენი შვილიშვილებისთვის. შენი უცნობი შვილიშვილები სალომე და თეკლე სურათით გცნობენ. შენ ხომ ძალიან გინდოდა ილიკოს დაოჯახებას მოსწრებოდი, მაგრამ ამას ვერ მოესწარი. შენი ნონა სულ თავალცრემლიანია, რატომ უღალატე, შვილო. რაც შენ წახვედი, მამაშენს გარეთ არ გაუხედია. ახლა კი ლოგინად ჩავარდა დარდისგან. ძალიან ენატრები შენს ძმას, დღე არ გავა, რომ შენ არ გახსენოს. შენი უბედური დედა სულ შენს მოლოდინში ვარ. მარტო იმას ვნატრობ, რომ მალე შეგხვდე და გნახო, შვილო.

მსუბუქი იყოს შვილო „ბათია" შენს დიდ მკერდზე დაყრილი დედოფლისწყაროს მიწა.

გულმოკლული შენი დედა

ფრიდონი (ფიდო) გენაშვილი



ფიდო, ჩვენო საყვარელო, უკვე ორი წელი გავიდა, რაც დატოვე ეს წუთისოფელი და მარადიულობაში გადაინაცვლა შენმა ვაჟკაცურმა სულმა. შენს იუბილეს – 28 დეკემბერს უკვე მესამედ ვხვდებით უშენოდ. შენი არყოფნა გვკლავს. ვერანაირი სიტყვა ვერ აღწერს უშენობის იმ მოუშუშებელ ტკივილს, რასაც შენი ოჯახი განიცდის.

ჩემო სიხარულო, გენაცვალოს დედა, როგორ მოგილოცოთ, რა გისურვოთ? ყოველივე კარგს გისურვებ, რაც კი იმქვეყნად კარგი არსებობს.

ფიდო, გამიღე კარი, რომ მოვიდე შენთან, ჩაგეხუტო და ბევრი გეფერო ახლოდან, მოგილოცო დაბადების დღე, ჩემო უზომოდ მონატრებულო შვილო. შენზე დარდმა მთლად გამანადგურა. თუმცა, უნდა გაგახარო და მოგილოცო მეოთხე შვილიშვილის დაბადება, რომელიც უშენოდ მოევლინა ამ ქვეყანას, მაგრამ მისი გაცნობა და მოფერება ვერ შეძელი ისე, როგორც დანარჩენ შვილიშვილებთან აკეთებდი.მისგან პაპის დაძახებას ვეღარ მოესწარ, შვილო.

28 დეკემბერს მოვალთ შენს საფლავზე და სანთლებითა და ყვავილებით მოგილოცავთ დაბადების დღეს. შენთვის დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს უფალთან მისასვლელი გზა. მარად გფარავდეს უფალი.

დიდი მონატრებით, შენზე მლოცველი შენი უბედური დედა იზოლდი, **მეუღლე** დალი, **შვილები** და **შვილიშვილები.**

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნონა ჯიბღაშვილს დეიდის

ლამარა გურაშვილის

გარდაცვალების გამო.

საახალწლო განწყობა

კარზე მოგვადგა 2018 წელი, დიდი თუ პატარა განსაკუთრებულ სამზადისში ვართ, ვფიქრობთ, რა მოვამზადოთ საახალწლო სუფრისთვის, ვინ მოვიწვიოთ სტუმრად, რა ვაჩუქოთ ერთმანეთს და რა გეგმებით შევხვდეთ ახალ წელს. წელიწადის ამ დღეს ყოველთვის გამორჩეული გარემოა შექმნილი ყველა ქვეყანაში. ეს დადებითი მუხტი გადამდებია, ყველას რაღაც გვიხარია, რაღაცაზე ვმოუსვენრობთ, რაღაცას ველოდებით. კიდევ ერთი შეცვლილი თარიღი, კიდევ ერთხელ, 5 წუთით ადრე აგუგუნებული ქვეყანა, კიდევ ერთხელ საჩუქრების გაცვლა-გამოცვლა და მილოცვები ერთმანეთში, კიდევ ერთხელ საკუთარ თავთან დადებული პირობა სამომავლო ჩანაფიქრების განხორციელებაზე და კიდევ ერთხელ ჩვენი მოსახლეობისგან მოგროვილი კომენტარები, რა განწყობით ხვდებიან ისინი კარზე მომდგარ 2018 წელს და რას ისურვებენ.

ეთერ ზურიკაშვილი, **საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი** – „2016-2017 სასწავლო წელი წარმატებული იყო ჩვენი სკოლების მოსწავლეებისთვის. გვყავდა 17 ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი, 20 „ჩემი პირველი კომპიუტერის“ ბენეფიციარი. ბავშვებს საუკეთესო შედეგები ჰქონდათ მოსწავლეთა შემოქმედებით კონფერენციაზე, სადაც პირველი, მეორე და მესამე ხარისხის დიპლომები დაიმსახურეს.

უმაღლეს სასწავლებლებში 100%-იანი გრანტით ჩაირიცხა 6 მოსწავლე. მოიპოვეს 70% და 50% გრანტები. ასეთი წარმატება კი ჩვენი მასწავლებლების დამსახურებაა, მათი დაუღალავი შრომის შედეგი. მადლობა მინდა გადავუხადო თითოეულ მათგანს და ყველას ერთად. მიმდინარე წელს ჩვენი საჯარო სკოლების ოცმა პედაგოგმა შეიცვალა სტატუსი პრაქტიკოსი პედაგოგობიდან- უფროს პედაგოგამდე. მათ 2018 წლიდან გაეზრდებათ ხელფასები. სამთაწყაროს საჯარო სკოლის წამყვანი პედაგოგი ლიანა მოსულიშვილი მენტორი პედაგოგი გახდა.

ასე რომ, საკმაოდ წარმატებული იყო 2017 წელი ჩვენი მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო სისტემაში. ამიტომ, წინასაახალწლო განწყობაც იმედიანი და ხალისიანი გვაქვს. მინდა, რომ 2018 წელი უფრო წარმატებული, ფეხბედნიერი, ხვავიანი, ბარაქიანი და სასიკეთო იყოს სრულიად საქართველოსთვის, თითოეული დედოფლისწყაროელისთვის და ჩვენი სკოლების მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის.

დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრი კიდევ ერთხელ ვულოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს სრულიად საქართველოს და განსაკუთრებული სიყვარულით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეებს, მასწავლებლებს და სკოლების ადმინისტრაციას.

ცარო მარტიაშვილი, **კულტურის სახლის დირექტორი**- ძალიან კარგი წინასაახალწლო განწყობა მაქვს. კარგი გეგმები მაქვს ამ წელში და ამას წინასწარ ვერ გეტყვით, საიდუმლოდ დავტოვოთ. ისე, უკვე მოსაწყენად მეჩვენება ახალ წელს სულ ერთი და იგივე, ძვირფასი საჭმელების კეთება, წინასწარ ნერვიულობა, როგორ გავართმევთ თავს ამ ყველაფერს, ეს განცდები ზედმეტად მეჩვენება. ახალ წელს, ჩემი აზრით, სჯობია, მეგობრულ ვითარებაში შევხვდეთ, ვისეირნოთ, ცოცხალ მუსიკას ვუსმინოთ, ერთმანეთი გავახალისოთ, ვიდრე, ხაჭაპურებისა და საცივის გაკეთებით გადაღლილები შევეგებოთ. რა თქმა უნდა, გოზინაყი, ინდაური და სხვა აუცილებელი ახალი წლის სავიზიტო კერძები უნდა გვქონდეს მაგიდასთან, მაგრამ, მარტო ამით არ უნდა ამოვწუროთ ჩვენი სამზადისი, უნდა გვქონდეს ხალისი, კარგი განწყობა, სამომავლო გეგმები და იმედები.

ლია ელიზბარაშვილი, **პენსიონერი** – მე ძალიან მიხარია ახალი წლის მოსვლა, ჩემი შვილები და შვილიშვილები ერთად რომ მოგროვდებიან და სუფრასთან მხიარულობენ, ყველაზე მეტად ბედნიერი მაშინ ვარ. წელს ჩემი უფროსი შვილიშვილი სტუდენტი გახდა, თან საღამოს საათებში სამუშაოც იშოვა ბარში, რომ ოჯახს ამოეშველოს, ამიტომ, ეს წელი ამითაც სასიხარულო იყო ჩემთვის. ჩვენ ყველა ვშრომობთ და ჩვენი შრომით ვცხოვრობთ, ამითაც კმაყოფილები ვართ, მთავარია, ჯანმრთელობა გვქონდეს, დანარჩენი მეასეხარისხოვანია, ყველა პრობლემა ადვილად მოგვარდება, თუ სიზარმაცე არ დაგძლევს.

ნიკა, გოგი, გიგა, ნიკოლოზი, **(N1 საჯარო სკოლის მეთერთმეტეკლასელების საერთო განწყობა)** „ჩვენ გვიხარია ახალი, 2018 წლის მოსვლა, ველოდებით კონცერტს, მაგრამ, ჯერ დიდად არ ვგრძნობთ წინასაახალწლო განწყობას, გვინდა, მეტი შესაძლებლობა გვქონდეს, ცოცხალი მუსიკის კონცერტების მეტი შემოთავაზება იყოს, გარემოს შეცვლა გვინდა, მოსაწყენია ერთი და იგივე გარემო, დიდ სუფრებს და სადღეგრძელოებს არ ვანიჭებთ მაინცდამაინც უპირატესობას, უფრო გართობის მომხრეები ვართ, მაგრამ, არ არის მაგდენი საშუალება, რომ ყველა სურვილი და ოცნება ავიხდინოთ. ამიტომ, რაც გვაქვს, ვცდილობთ, ვიყოთ კმაყოფილები, წელს წინ ოთხი გამოცდა გველოდება, რაც მაინცდამაინც არ გვიხარია და ჩვენს განწყობაზე აისახება. საერთოდაც, მეტ მხარდაჭერას ველოდებით მომავალში ჩვენი მთავრობისგან ახალგაზრდებზე“.

მარინა ჭუმგურიძე: „წინასაახალწლო განწყობა ემიგრანტებისა, როგორც ყოველი დღე, ნოსტალგიით სავსეა. სადღაც გულის კუნჭულში ჩვეული სიხარული ციმციმებს შობა-ახალი წლის მოლოდინისა, მაგრამ ვისთანაც და სადაც სიცოცხლე გიხარია, უიმათოდ ლხინი როგორ იქნება. მე მაინც დაწვრილებით გიამბობთ, როგორ ვხვდებით... 25 დეკემბერს, კათოლიკურ შობას ძირითადად ოჯახებში ვხვდებით, სადაც ვმუშაობთ, რადგან მოხუცებთან ერთად ზეიმობენ ოჯახის წევრები და ახლობლები.ხშირ შემთხვევაში რესტორნებში. უმეტესობა საჩუქრებსაც დებენ ნაძვის ხის ქვეშ (როგორც ყველასთვის), მოხუცის მომვლელისთვის, ანუ ჩვენთვის.ჩვენ გვაქვს საშუალება, თუ ოჯახში იკრიბებიან, დავაგემოვნებინოთ ქართული კერძები...

ძირითადად ჩვენი ურთიერთობა შეხმატკბილეულია. ახალ წელსაც იგივე ხდება. 7 იანვარს, შობას, შეძლებისდაგვარად ვიკრიბებით და ვულოცავთ ერთმანეთს, მივდივართ მართლმადიდებლურ ეკლესიაში და დროის ეკონომიური გამოყენებით ვესწრებით ლიტურგიას. პირადად ჩემს ქალაქ ტრიესტეში 2 იანვარს გვაქვს დაგეგმილი შეხვედრა, იმავე ეკლესიის ერთ-ერთ დარბაზში, სადაც გიორგობა აღვნიშნეთ. ჩვენს მიერ მომზადებული კერძებით და მოკრძალებული სიმღერა-სადღეგრძელო, ლექსებით მივულოცავთ ერთმანეთს ახალ 2018 წელს. ჩვენი რაიონის ემიგრანტ ქალთა სახელით: ლუიზა ალადაშვილი, ნატო გორაშვილი, ნანა ლომიძე, ნატო ხუციშვილი, ლაურა ემრაშვილი, თამარ დიდებაშვილი, თინიკო ვაიტაძე, თამილა დამმანანა გორაშვილები... ვულოცავთ ჩვენს რაიონელებს და სრულიად საქართველოს დამდეგს და ვუსურვებთ უფლის უხვ წყალობას, ჯანმრთელობას და ძლიერებას!“

ხატია გიგოლაშვილი: „ახალი წელი ჩემთვის ყოველთვის ახალთან, განახლებასთან, სასიამოვნო ცვლილებებთან ასოცირდება. ყოველ ახალ წელსკიდევ ერთხელ ვაცნობიერებ, რომ კიდევ ერთმა წელმა ჩაიარა თავისი ბედნიერი, სევდიანი თუ ტკივილიანი დღეებით. ტრადიციულად, წელსაც საოცარი წინასაახალწლო განწყობით, ბავშვური სიხარულით ვხვდები ახალ წელს და ჯიუტად მჯერა, რომ უფრო მეტი ბედნიერი და ღიმილიანი დღე გვექნება, ვიდრე გასულ წელს.ამ ახალ წელსაც გადავშლი ცხოვრების ახალ ფურცელს და კიდევ ერთხელ დავწერ: დღეს 1 იანვარია...“

ნინო სეფიაშვილი: „ძალიან მიყვარს ახალი წელი და დეკემბრის დადგომიდან ვცდილობ, მოვემზადო მასთან შესახვედრად. საუკეთესო განწყობით ვარ ახლაც. იმედი მაქვს, ახალი წელი სიკეთის, სიხარულის, სიყვარულის, ხვავის და ბარაქის მომტანი იქნება“.

ზიზი ნადირაძე-კვანჭილაშვილი – „წარმოშობით გორის რაიონიდან ვარ. დავამთავრე ეკონომიკის ფაკულტეტი და ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი დედაქალაქში გავატარე, ოჯახი შევქმენი დედოფლისწყაროელ ვალერი კვანჭილაშვილთან ერთად. ის მშენებელი ინჟინერია. ორივეს კარგი სამსახური გვქონდა თბილისში, მაგრამ შემდეგ მდგომარეობამ მოითხოვა და ჩემი მეუღლე მამისეულ ბინას დაუბრუნდა. სამსახურიც აქ გააგრძელა. ორი შვილი – ქალ-ვაჟი გავზარდეთ, დავაბინავეთ. ქალაქში მათ ვმეურვეობდი, მაგრამ, ჩემი დედამთილის ავადმყოფობის და ხანდაზმულობის გამო მეც დედოფლისწყაროში ჩამოვედი. წლები ვუვლიდი დედამთილს, რომელიც ამ გაზაფხულზე, 92 წლის ასაკში გარდაიცვალა. ახლა მე და ჩემი მეუღლე ვცხოვრობთ ევდოშვილის ქუჩაზე, ვშრომობთ და ჩვენი შვილების ოჯახებს აქედან ვეხმარებით. ორი შვილი და ექვსი შვილიშვილი გვყავს. მათით ბედნიერი ვარ, და როცა მკითხეს, რას ისურვებდი ახალ წელსო, დაუფიქრებლად ვუპასუხე: – მშვიდობას, რომ ჩვენი ბედნიერება არანაირმა საფრთხემ არ დაარღვიოს, რომ მათ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას არაფერი დაემუქროს, რომ ისინი დაცული იყვნენ ომისა და ტერორიზმისგან. 8 აგვისტოს ომმა და ამას წინათ თბილისში, გაბრიელ ბერი სალოსის ქუჩაზე განვითარებულმა მოვლენებმა მძაფრად შემაგრძნობინა ის საშინელება, რაც ქვეყნის უსაფრთხოების დარღვევას შეიძლება მოჰყვეს. ამიტომ, ქვეყნის ეკონომიკურ გაძლიერებასა და გამთლიანებასთან ერთად ვისურვებ, იყოს მშვიდობა ჩემი შვილებისა და შვილიშვილების, თქვენი შვილებისა და შვილიშვილების და სრულიად საქართველოსთვის. წარმატებებს ვუსურვებ ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებას.

ყველას გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს, უფლის წყალობა და ღვთისმშობლის კალთის მფარველობა არ მოგვკლებოდეს. ვისურვებ ერის გამრავლებას, რომ შობადობამ გადაფაროს სიკვდილიანობა.

ნათელა იაკობიშვილი-შარვაძე – გაზეთ „შირაქის“ მკითხველისათვის ჩემი გვარი და სახელი შვილმკვდარი, უბედური დედის სტატუსითაა ცნობილი. ჩემი ერთადერთი შვილის – ილიკო შარვაძის მონატრებას წელიწადში სამჯერ – დაბადების, გარდაცვალების და მიცვალებულთა ხსოვნის დღეებში სისტემატურად ვაქვეყნებ. ამით, ერთის მხრივ, მინდა, მისი სახელი დავიწყებას არ მიეცეს და მეორე მხრივ, საზოგადოებას გავუმძაფრო აღქმა იმისა, თუ რა ძნელია შვილის დაკარგვის შემდეგ დედისთვის სიცოცხლის გაგრძელება. მინდა, ეს გამორჩეულად აღიქვან ახალგაზრდებმა, რომლებიც ერთმანეთის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას არაფრად აგდებენ, ხელს აღმართავენ თანატოლებზე და სასიკვდილოდ იმეტებენ. ზოგადად, ქვეყანაში გახშირდა ასეთი შემთხვევები, მაგრამ ამ ბოლო დღეებში არასრულწლოვნების შეკამათების დროს მოკლული ორი ბავშვის ამბავმა გულის სიღმემდე შემძრა. რას ისურვებდი ახალ წელსო, მკითხეს. რას ვისურვებდი და ნაკლებ შაოსან დედას. მინდა, მოვუწოდო ადამიანებს: – გავუფრთხილდეთ ერთმანეთის სიცოცხლეს! ის არ გვეყოფა, ასეთი გახშირებული დაავადებების ფონზე სიკვდილიანობა კატასტროფულად რომ გაიზარდა, რომ ახლა ერთმანეთის სისხლით არ დავიმძიმოთ სული?! შვილებო, მუდამ გახსოვდეთ დედები, რომელსაც შვილს უკლავთ და დედები, რომლებიც კაცისმკვლელი შვილების იარლიყის ქვეშ არანაკლებად იტანჯებიან. ყველას ვულოცავ დამდეგ შობა-ახალ წელს, ერთმანეთის სიყვარულს და დანდობას ვუსურვებ!

სოფიო ჯეთერიშვილი: „ახალი წელი ჯადოსნური დღესასწაულია. მე მჯერა, რომ ამ დღეს ყველა სურვილი ხდება. ჩემი, როგორც ახალგაზრდის და როგორც ქართველის საახალწლო სურვილია, საქართველოს გამთლიანება, გაძლიერება... მჯერა, რომ ყოველი ახალი წელი იქნება უკეთესი, იმიტომ, რომ ახალ-ახალი თაობები ჩაანაცვლებს ძველს. ჩემი საახალწლო სურვილია, ყოველ ახალ წელს ახლებურად გვიყვარდებოდეს ჩვენი ქვეყანა.

ახლებური ძალით ვცდილობდეთ, რომ შევქმნათ ის გარემო, როგორშიც გვინდა რომ ვცხოვრობდეთ“.

უ ლ ო ც ა ვ ე ნ !

მზია ლეკაშვილს და შენგელი ოზაშვილს

გილოცავთ შვილიშვილის, პატარა ელენეს დაბადებას. ახალშობილს ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და ბედნიერ, ლამაზ ბავშვობას. უფალი იყოს მისი მფარველი.

პატივისცემით, ოზაანის სკოლის პედკოლექტივი.

ბელა კოჭლამაზაშვილს და გოჩა თევზაძეს

გილოცავთ შვილების, ზალიკოს და მარის ქორწინებას და ჯვრისწერას. სიყვარულით და სიხარულით აღსავსე ყოფილიყოს მათი ცხოვრების სავალი გზა. წარმატებული და ნაყოფიერი ყოფილიყოს მათი ამქვეყნიური დანიშნულება, წარმატებული შვილების აღზრდა და საზოგადოებაში კარგი სახელის დამკვიდრება.

პატივისცემით ოზაანის სკოლის პედკოლექტივი.

ა მ ი ნ დ ი

დ ე დ ო ფ ლ ი ს წ ყ ა რ ო

ორშაბათი 25.12		სამშაბათი 26.12		ოთხშაბათი 27.12		ხუთშაბათი 28.12		პარასკევი 29.12		შაბათი 30.12		კვირა 31.12	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
4°	0°	5°	3°	5°	4°	6°	5°	9°	7°	5°	4°	6°	5°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ძენძაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.